პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 134 (26475) — შაბათი, 10 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 8 კაპ.

გუშინ, 9 ივნისს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

ნაწილობრივი ეკონომიკური რეფორმების მრავალი წლის პრაქტიკამ დამაჯერებლად გვიჩვენა მათი გაუმართლებლობა ისეთი დიდი სახელმწიფოს ზეცენტრალიზებული მართვის პირობებში, როგორიც საბჭოთა კავშირი გახდა. გაანაცხადა დეპუტატმა **კ. პ. პატუსკინმ**. მისი აზრით, თუ გიგანტური ეკონომიკური ორგანიზმის გაჯანსაღება, მისი გამოყვანა უძრაობიდან წარმოუდგენელი ხდება ცენტრიდან დისტანციური მართვის ძველი მეთოდების შენარჩუნების პირობებში, რაგინდ ძლიერი და ბრძენიც იყოს ეს ცენტრი.

ეკონომიკური რეფორმის ბალტიისპირულ კონცეფციას როცა შეეხო, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ იგი შეიცავს პრობლემათა ლოკალიზაციის, მისი იმ დონეზე გადატანის პრინციპს, სადაც ხდება კიდეც სამეურნეო და სოციალური პროცესები, სადაც არის რეალური ინფორმაცია მათ შესახებ და არიან მათი განხორციელებით დაინტერესებული ადამიანები. შემდეგ დეპუტატმა აღნიშნა: რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჩვენ მიგვიჩნია ცალიკეული რესპუბლიკებისა და მთლიანად კავშირის ეკონომიკის მართვის გარდაქმნით თავდაბრალ და აუცილებელ პირობად. შემდეგ დეპუტატი დაწვრილებით შეეხო ეკონომიკური რეფორმის ბალტიისპირული კონცეფციის დებულებებს. მწყობრი ნაბიჯით მხოლოდ უფსკრულისაკენ სვლა შეიძლება, ამტკიცებდა იგი, ხოლო უძრაობის ჭაობიდან ამოსვლა მხოლოდ ინიციატიის ამოქმედებით არის შესაძლებელი, რესპუბლიკების უფლება — დამოუკიდებლად გაუძღვნენ მეურნეობას, მისი თქმით, სავსებით ბუნებრივია.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ლიტვის წარმომადგენელმა დაუთმო ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობის პრობლემებს, ეკონომიკის დემონოპოლიზაციის საკითხებს, აგრეთვე ყრილობაზე გაშლილ დისკუსიებს. მას, კერძოდ, აღელვებდა ის გარემოება, რომ, როგორც მან შენიშნა, ბალტიისპირეთის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის გასაგები საკითხები ჯერ კიდევ გაუგებარი და მიუღებელია ბევრი დეპუტატისათვის სხვა რესპუბლიკებიდან.

ორატორმა მკვეთრად გაილაშქრა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა მთელი რიგი არგუმენტების წინააღმდეგ, უპასუხა რა ერთ შთაგანს, მან აღნიშნა, რომ სჯობს სხვადასხვანაირად კარგი ცხოვრება, ვიდრე ყველა ერთნაირად ცუდად ცხოვრობდეს. დეპუტატმა არ გაიზიარა რამდენჯერმე გამოთქმული მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ბალტიისპირა რესპუბლიკებს მეურნეობრიობის უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ შექმნილი.

სასურსათო მომარაგება, აღნიშნა დეპუტატმა ომსკის ოლქიდან **ი. ა. ნაზაროვმა**, გარდაქმნის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული წერტილია. შემაშფოთებელია, რომ ბევრ გადაწყვეტილებას სოფლის მურნეობაზე ბოლო დროს დეკლარაციული ხასიათი აქვს. ამით აიხსნება სწორედ აგრარული სექტორის მიერ ადგილის ტკეპნა, რაც ზოგიერთებს უფლებას აძლევს უარყოფითად შეაფასონ გლეხობის შრომა.

მაგრამ, თქვა შემდეგ ორატორმა, გლეხს ხომ არ ჰქონია და არც აქვს გადამწყვეტი სიტყვა. მის ნაცვლად ყოველთვის ვიღაც წყვეტს. და დღეს გლეხი მოითხოვს პატივისცემას და ანგარიშის გაწევას.

მე მხარს ვუჭერ, აღნიშნა ორატორმა, აგრარიკოსი დეპუტატების მიმართვას. ეს არის სულის ყიავილი, მოთხოვნა, რომ ფიზიზლად მიუდგნენ სოფლის პრობლემებს და უპირველესად გადაჭრან ისინი. მხარს ვუჭერ აგრეთვე გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს აგრარული და სასურსათო საკითხების კომიტეტის შექმნის შესახებ და წინადადებას ვიძლევი დაევალოს მას აგრარული სექტორის ინტერესების დაცვა უწყებების, ბიოოკრატიის, ვოლუნტარისტიკული გადაწყვეტილებების, არაკომპეტენტური ხელმძღვანელობისაგან. წინადადებას ვიძლევი შემოდგომის ყრილობაზე მოვისმინოთ მთავრობის ინფორმაცია მიმართვის დებულებათა რეალიზაციის შესახებ.

დეპუტატმა გააკრიტიკა გავრცელებული აზრი, რომ სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია საკმაო რაოდენობის რესურსი. თავისი რუსკო-პოლიანსკის რაიონის მაგალითით მან უარყო აგრეთვე ცალკეული ავტორების გამოთქვამები უამირი მიწების თვისების მცდარი ხასიათის შესახებ. მხარი დაუჭირა რა არენდის განვითარებას, ორატორმა თქვა, რომ არ შეიძლება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ჯეროვნად შეუფასებლობა და მოუწოდა მიანიჭონ მათ მეტი სამეურნეო დამოუკიდებლობა.

ორატორმა შემდეგ შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში შრომის და საზოგადოებრივი დისციპლინის გაუარესების გამო. ჩვენ შეგვიძლია, თქვა მან, მაგრამ არ გვინდა კარგად მუშაობა. ორატორმა აგრეთვე დამსწრეთ მოუწოდა მეტი უურადღება დაუთმონ მიღებულ გადაწყვეტილებათა მკაცრად შესრულებას.

სოციალური საკითხების გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული რეგიონების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, თქვა დეპუტატმა **ი. ა. ეგოროვმ**. სწორედ ამ პოზიციებიდან გააანალიზა მან მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ახლა ალტაისა და მთლიანად ციმბირისათვის. ყურადღებას მოითხოვენ პატარა სოფლები, მთელი რიგი ცენტრალური უწყებები უწონდებურად მიიჩნევენ რეგიონს რაღაც ნედლეულის საკუთნოდ, სიიდანაც უხლად შეიძლება ისარგებლო რესურსებით, სამაგიეროდ კი არაფერი მისცე. უნდა განვმტკიცოთ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ადგილობრივი საბჭოების ფინანსური მდგომარეობა. ეს არის მტკივნეული სოციალური საკითხების გადაწყვეტის ერთადერთი გზა.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფას. დეპუტატმა მოითხოვა, რომ მკვეთრად შეიცვალოს მიდგომა ამ სფეროს განვითარების დაგეგმვის მეთოდებისადმი რეგიონებისა და ტერიტორიების თავისებურებათა გათვალისწინებით. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის გაღებული ხარჯები დღემდე არ არის საკმარისი, თქვა მან.

ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნა მორიდებულ ნაბიჯებს დგამს. ხალხს ჯანმრთელობა დამოკიდებულია მისი ცხოვრების ხარისხზე. საჭიროა, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა, რომ საწარმოებისათვის ეკონომიკურად ხელსაყრელი იყოს ჰაკავდეს ჯანმრთელი მუშაკები.

ორატორის გამოსვლის ნაწილი მიეძღვნა წამლებითა და ტექნიკით სამედიცინო დაწესებულებათა მომარაგების პრობლემებს. ახლა ვითარება ამასთან დაკავშირებით მძიმეა. მე, ჭირურგს, თქვა ორატორმა, მეშინია მაგიდასთან დგომა, როცა არ მაქვს ბევრი რამ, რაც მუშობისათვის მჭირდება, მაშინებს ავადმყოფის ბედი.

დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, გამოიყოს სამკურნალწამლო პრეპარატების ჯგუფი, ურომლისოდაც დღეს შეუძლებელია მუშაობა. თუ საზღვარგარეთ მათი შეძენისათვის საჭიროა სახსრები, ანუ ენი უნდა ვეუყოთ მათ დაუყოვნებლივ გამოყოფას. გააანალიზა რა ჩვენს საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა, დეპუტატმა განაცხადა, რომ მთავრობის დონეზე უნდა შეიქმნას ქალების უფლებებისა და სოციალური მდგომარეობის დაცვის განყოფილება ან სექტორი. გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ეკოლოგიის პრობლემებს.

ბევრი ახლანდელი სიძნელე აიხსნება არათანამიმდევრული პოლიტიკით, განაცხადა დეპუტატმა **ა. ვ. ემელიანოვმა**. ახალი აზროვნება ნამდვილად გამოვიყენეთ მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში, სადაც რეალური შედეგებიც გვაქვს, რაც შეეხება ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებას, აქ ჭარბობს უწინდელი მიდგომა, მიღწეულისაგან უკუსვლა, ნახვრეტების ამოქოლვა.

ორატორმა ამის თაობაზე მაგალითები მოიყვანა აგრარული დარგიდან. რატომ არის, იკითხა მან, რომ ყოველ წელს ვპოულობთ საიმისოდ უდიდესი სავალუტო და ბუნებრივ რესურსებს, რომ შევისყიდოთ უამრავი პური და ხორცი საზღვარგარეთ, და ეს რესურსები არ არის იმისათვის, რომ შევამციროთ საკუთარი უკვე მოყვანილი მოსავლის დანაკარგები? რატომ არის აგრეთვე რომ გვყოფნის ნავთობი მარცვლეულის შესყიდვისათვის, მაგრამ როცა ეწყება მოსავლის აღება, კომბაინები და სატვირთო მანქანები უქმად დგანან საწვავის უქონლობის გამო? ყველაზე არსებითი ის არის, გამოიტანა დასკვნა ორატორმა, რომ ჩვენ შაინდამანც ვერ წავიწიეთ წინ მთავარი საკითხის გადაწყვეტის — პოლიტიკური სისტემის ფორმირების გზაზე, რომელიც ხალხს მართლაც ქვეყნის ბატონ-პატრონად გადააქცევდა.

მან შეშფოთებით აღნიშნა, რომ კვლავ აფერხებს დემოკრატიზაციის პროცესს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი, განსაკუთრებით ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მიდგომა სამმართველო სისტემის გარდაქმნისადმი: ვიაროთ არა ზემოდან ქვემოთ, არამედ უშუალოდ წარმოების განვითარების მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი პრინციპი უძველს საფუძვლად, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ყრილობისადმი დეპუტატ აგრარიკოსთა მიმართვას. მართებული იქნება, თუ მას სხვა სფეროებზეც გავავრცელებთ. მაშინ სამმართველო აპარატი ხალხის სამსახურში იქნება, და არა პირიქით.

რაკი ხალხის ხელისუფლებისათვის ვიღვწით, ზუსტად უნდა განვსაზღვროთ პარტიის ადგილი საზოგადოებრივ სტრუქტურებში, აღნიშნა დეპუტატმა. ხალხი პარტიისა ბალი ადგილ დგას. ჩვენი ყრილობა პარტიის ყრილობაზე მაღლაა. უმაღლესი საბჭო პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე მაღლა დგას. პარტია ფუნქციონირებს ხალხის წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული კონსტიტუციის ფარგლებში. ეს პრიორიტეტები უნდა გავანაწილოთ ყველა სფეროში, დასძინა ორატორმა.

ჩემს გამოსვლას, თქვა დეპუტატმა **ე. ა. გაერმა**, უკავშირებს გარდაქმნის წარმატების იმედს ჩემი ათასობით თანამემამულე — ნანაელი, ულჩი, ნივხი, ოროჩი და სხვა ხალხები. ეროვნული ურთიერთობის პრობლემებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის ეპიცენტრმა ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთისაკენ გადაინაცვლა. ამ ფონზე თითქმის შეიმჩნეველია შორეული აღმოსავლეთისა და უკიდურესი ჩრდილოეთის მცხოვრებთა პრობლემები. ისინი არ აწყობენ ხალხმრავალ მიტინგებსა და დემონსტრაციებს. მაგრამ ჯანა ეს იმას ნიშნავს, რომ მათი სოსტიხმა შეიძლება არ გაიგონონ აქ?

ორატორმა ყურადღება მიაპყრო მათ არცთუ ისე იოო ბედს. საქმე ხომ ეხება იმას, იარსებებენ თუ არა ეს ხალხები დედამიწაზე.

ყოველი ხალხის ცხოვრება და ჯანმრთელობა, თქვა შემდეგ დეპუტატმა, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ეს მდგომარეობა კი შორეულ აღმოსავლეთში უკიდურესად შემაშფოთებელია. ყოველგვარ ინტერვენციაზე საშინი გამოდგა ამ მიწაზე სამინისტროებისა და უწყებების „ინტერვენცია“. მათი საშეურნეო პრაქტიკა ძალიან მცხოვრებთ ნამდვილ ტრაგედიად ეჯდებათ. ორატორმა მოიყვანა მაგალითები, როცა ბარბაროსულად იჩეხება ტყეები, იღუპება მდინარეები, ძირი ეთხრება სარეწი მეურნეობის სანედლეულო ბაზას, ისპობა მთელი სოფლები, რომლებსაც უპერსპექტივოდ თვლიან, სავალალო მდგომარეობაშია სკოლები. ეს მარტო უგუნური მეურნეობიობა როდია, ხაზი გაუსვა დეპუტატმა. საქმე ეხება ხალხების არსებობის თვით საფუძვლების უკონტროლო განადგურებას. მრავალი სიახლე არ ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს, ეწინააღმდეგება ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესს.

ჩრდილოეთის ხალხების კულტურაში ბევრი რამ აუნაზღაურებლად დაიკარგა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამის გადარჩენა შეიძლება. ყოველ ამორიგენ ხალხს უნდა გამოვუყოთ გარკვეული ტერიტორია, აგრეთვე ამ ტერიტორიის სამეურნეო თვისების უფლება მხოლოდ მათ მიეთვალოთ. ხალხთა თანასწორობა მარტო კონსტიტუციური სტრიქონი არ უნდა იყოს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის სტატუსის თანასწორობა. ორატორმა აღნიშნა, რომ უნდა შეიქმნას ჩრდილოეთის ხალხების ასოციაცია — საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც მთავრობის მხარდაჭერა ექნება.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **ბ. ბ. გუმბარიძე**. (მისი სიტყვა გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში).

ქვეყანაში შექმნილ ეკოლოგიურ სიტუაციას მოუძღვნა თავისი გამოსვლა დეპუტატმა **ა. ი. იაბლოკოვმა**. მისი აზრით, საბჭოებმა დაკარგეს ადგილებზე რეალური ხელისუფლება და ახლა მეხოუნელთა მდგომარეობაში არიან. საბჭოების უხელისუფლობას მოაყვება მთელი რეგიონების სტიქიური, ეკოლოგიურად უამრავი საშიში განკითარება.

ორატორი ამტკიცებდა, რომ ეკოლოგიური კრიზისი ქვეყანაში უახლოესი წლების მანძილზე გამძაფრდება და გაღრმავდება, თუ სასწრაფო და ეფექტიან ზომებს არ მივიღებთ. პარტია, რომელმაც ნებაყოფლობით იდო თავს პოლიტიკური ლიდერობის ტვირთი, სწრაფად და მტკიცედ უნდა „გამშვენდეს“ — პირი იბრუნოს ეკოლოგიის პრობლემებისაკენ, ხოლო საბჭოები უნდა გახდნენ ადგილებზე ბუნებრივი სიმდიდრის რეალური ბატონ-პატრონები. საჭიროა აგრეთვე უფრო ეფექტიანი ეკონომიკური სანქციები იმ საწარმოთა წინააღმდეგ, რომელთა მიზეზით ეუქმდებიანდება წყალი და ჰაერი.

ორატორმა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისამართით, რომელიც, მისი აზრით, თანამიმდევრულად არ იბრძვის საცხოვრებელი გარემოს სისუფთავისათვის. მან წინადადება წამოაყენა, რომ დაჩქარდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო, უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავება. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, თქვა ორატორმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უნდა მოსთხოვოს გარემოს ხარისხისადმი კონტროლის მკვეთრი გაძლიერება. ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესოს ბუნების დაცვის სფეროში სახელმწიფო მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეს. ამას ხელი უნდა შეუწყოს ყოვლისმომცველმა სახელმწიფო ეკოლოგიურმა ექსპერტიზამ, რომელიც, დეპუტატის აზრით, ჯერჯერობით უუფლებოა და ნახევრად საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს! დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, რომ ყრილობამ მიიღოს სპეციალური დადგენილება ეკოლოგიის საკითხებზე.

გარდაქმნაში კომუნისტების როლზე ილაპარაკა ყრილობის ტრიბუნიდან დეპუტატმა **ა. ი. ჩანანოვმა**. მან მტკიცედ უარყო იმ ორატორების გამოთქვამები, რომლებმაც თავიანთ გამოსვლებში ერთგვაროვნად დაუპირისპირეს პარტიული და სახელმწიფო აპარატი წინმავალ საზოგადოებას. ორატორის აზრით საჭიროა ბრძოლა აპარატში კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა მოძველებული აზროვნება ხელს გვიშლის დასახული მიზნების მიღწევაში. ბოლო ხანს, თქვა შემდეგ მან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროში ბევრი ახალი ენერგიული ადამიანი მოვიდა. მათ მხარი უნდა დავუჭიროთ.

დაეთანხმა რა არსებითად ყრილობაზე ნ. ი. რიჟკოვის მოხსენებას, დეპუტატმა მის თაობაზე რამდენიმე კრიტიკული შენიშვნაც გამოთქვა. მოხსენების ბევრი შეფასება და დასკვნა, თქვა მან, ჯერ კიდევ 60-იან წლებში გესმენია. მაგალითად, ამ ტრიბუნიდან წარმოთქმული „მილიანი“ მაჩვენებლის მორიგი კრიტიკა. მასზე უკვე ბევრი რამ ითქვა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, დეპუტატის აზრით, უბრალოდ გაგვეუქმებინა პირველი ოვლისიდან ყველა მოცულობითი მაჩვენებელი.

მოხსენებას, დეპუტატის აზრით, აკლია მკაფიო წინადადებები უწყებრივი ბარიერების ლიკვიდაციის გზებზე, ბიუჯეტის გაჯანსაღებაზე, იმაზე, თუ როგორ გადავჭრათ მწვავე პოლიტიკური პრობლემად ქცეული სახალხო მოხმარების ყველაზე აუცილებელი საქონლის დეფიციტი.

უბრალო კრიტიკა და შეცდომების აღიარება ჩვენი განვითარების უკვე განვლილი ეტაპია, თქვა დეპუტატმა. სოციალისტური საზოგადოების ძალა უშრეტია და როცა ქვეყნის მდგომარეობას გაანალიზავთ, არ შეიძლება მხოლოდ კერძო მოვლენების დანახვა. დეპუტატთა კორპუსის ამოცანა ახლა ის არის, რომ აქტიურად დაეხმაროს გარდაქმნას ყველა სფეროში.

თუ შეეგნარჩუნებთ მიწას, გლეხს, მაშინ გადავრჩებთ, განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან დეპუტატმა **ხ. ბ. ზალიკანოვმა**. ამის იმედებს იგი უკავშირებს აგრარულ კომიტეტს, რომელიც იქმნება. იმისათვის, რომ ახალმა ორგანიზაციამ წარმატებით გაართვას თავი დასახულ ამოცანებს, მან, ორატორის აზრით, ბევრი რამ უნდა გადაიოოს რუსული ერობის მუშაობის გამოცდილებიდან. გარდა ამისა, აგრარულ კომიტეტს უნდა გადაეცეს იმ სახსრების ნაწილი, რომლებსაც დღეს ვიყენებთ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და საგზაო მშენებლობისათვის.

დეპუტატმა თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ეკოლოგიის პრობლემებს. ბევრ მათგანს ჩვენ თვითონვე ვქმნით, შემდეგ კი ვძლევთ, თქვა მან. ზოგჯერ პირდაპირ ფანტასმაგორიული ვითარება იქმნება ხოლმე: ვიღაც უშვებს „ბურანს“, ვიღაცას კი ავიწყდება ურდულის გადაკეტვა და 55 წუთის განმავლობაში ხანძარს აქრობს უფის მახლობლად გამსკდარი მილსადენიდან გადმოღვრილი საწვავი.

არალის პრობლემაც, რომელიც საშინელ კატასტროფას გვიქადის, მწერილის აზრით, ადამიანის ხელმა შექმნა. მან მინისტრთა საბჭოს წინადადება მისცა დაასახელოს ყოველივე იმის კონკრეტული დამნაშავენი, რაც არალზე ხდება, რათა ხალხი იცნობდეს „ჩვენი დროის გმირებს“. ორატორმა გაიკვირვებით, რომ არალის გადარჩენის კომისია გადაეცა იმას, ვინც იგი დაღუპა.

მრავალი პრობლემის გადაჭრას, ორატორის აზრით, ხელს შეუწყობდა მიწის ნაწილის გადაცემა ქერძო ხელში.

დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა სსზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის მოძრაობაში.

მე ზმირად მეკითხებიან: რა მიგაჩნიაო, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან არჩეულ დეპუტატს, შენს მთავარ ამოცანად, თქვა თავის გამოსვლაში კუზბასის „რასპადსკაიას“ შახტის კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირმა **ვ. ვ. გეოზდევმა**, და ყოველთვის მოკლედ ვუპასუხებ ხოლმე — ბრძოლა პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, ამომრჩეველთა განწესებში ჩამოყალიბებული პლატფორმის განხორციელებისათვის. ამ დოკუმენტებში ყველაფერია, რაც საჭიროა უბრალო საბჭოთა ადამიანების უკეთესი ცხოვრებისათვის. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას, მუშაკაცს, არ მოსწონს, როცა ლაპარაკობენ, თქოთქოს ჩვენ გვჭირდებოდის რაღაც სხვა პარტიები, ფრაქციები, ჯგუფები, კიდევ რაღაც სხვა პროგრამები. მისი აზრით, ყოველგვარ ძარცვა-გლეჯასა და მერყეობას, და განსაკუთრებით შეუთანხმებლობას მოქმედებაში, ჯარი არაფერი არ მოუქონდა და არც მოტანს, დეპუტატმა განაცხადა, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭირო გარდაქმნის მთელი ძალების ერთიანობა და შეკავშირება.

გამოსულაში დიდი ყურადღება დაეთმო კუზბასის სოციალურად განვითარების პრობლემებს. მძლავრი ინდუსტრიული პროგრესი მკვეთრად ჩამორჩება სწორედ ამ სფეროში. აქ კრიზისულ მდგომარეობამდე გამწვავდა ეკოლოგიის, თბო და წყალმომარაგების პრობლემები. იგრძნობა სასურსათო საქონლის მწიავე ნაკლებობა. სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ ოლქის განვითარების პერსპექტივები და ამ დროს ვიხილმძღვანელოთ არა წარმოების შემდგომი ზრდის გეგმებით, არამედ გავითვალისწინოთ ადამიანის ცხოვრების პირობების შექმნილი მდგომარეობა.

გარდაქმნის მრავალ ასპექტს შორის დეპუტატ **ო. ო. სულეიმენოვს** მთავარ ასპექტად მიაჩნია, როგორც მან თქვა, 20-იან წლებში დამუხტუჭებული დეკოლონიზაციის პროცესის განჯრძობა. ეს სიტყვები მისი მოკლე ემოციური გამოსვლის ლაიტმოტივი გახდა. ისტორიული სიტუაციის ორიგინალობად ლიტერატორს ის მიაჩნია, რომ ყოფილი მეტროპოლია — რუსეთი სხვა რესპუბლიკებთან ერთად ცენტრის კოლონია გახდა.

ჩვენ ახლებურად ვიხედნენ ჩვეულის გადასინჯვას. სახელმწიფოს ინტერესები ყოველთვის იდგა ხალხისა და პიროვნებების ინტერესებზე მაღლა. ეს აზრი ორატორმა დაუკავშირა „სემიპალატინსკის ოლქში ატომური პოლიგონის — იმ ობიექტის არსებობის პრობლემას, რომელიც, მისი რწმენით, საშიშია იმათი ჯანმრთელობისათვის, ვინც ამ რაიონში ცხოვრობს.

მსოფლიო იცვლება. ჩვენ უკვე ნაკლები მტრები გვყავს დასავლეთსა და აღმოსავლეთში. მაშასადამე, ნაკლები ხარჯებია თავდაცვისათვის. მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ ლონდონში იმის შესახებ, რომ ქვეყანა წყვეტს პლუტონიუმის წარმოებას, უბრალოდ XXI საუკუნის შტი იმედი ჩაგვისახა, იგი გვმატებს რწმენას, რომ ჩვენ მშვიდობიანი სახელმწიფო ვხდებით. პოლიგონები უკვე მეოთხე თვეა დუმან. სუსტი დუმილია, განაცხადა დეპუტატმა. და დასძინა: დიდი იმედი გვაქვს, რომ „ატომური კლუბის“ ქვეყნებში მთავრობები და ანტიბირთვული საზოგადოებრივი მოძრაობები ყურად იღებენ ჩვენს ხმას, გაგვიგებენ და მხარს დაგვიჭერენ.

ორატორმა მხარი დაუჭირა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის დიალოგის განვითარებას, იმას, რომ კანონმდებლურად განვამტკიცოთ სახელმწიფო დამოკიდებულება სხვაგვარად აზროვნებისადმი, რომელსაც მან შემოქმედებითი, და არა მტრული ფაქტორი უწოდა.

არ შეიძლება წნევის მოპატება, როცა ამდენი გახვრეტილი „მილსადენია“ ქვეყანაში. ეროვნული და სოციალური ფეოდალურ-მფაყოფილებლობის გათხევადებული საწვავი ნივთიერება მიედინება ჯუბეზე, რომლებითაც დადიან ბავშვებთან სავსე მატარებლები. დაე, ნუ გადაეცემთ შვილებსა და შვილიშვილებს გაფფრობა. ისინი უბრალოდ ვალდებული არიან იყვნენ ზედნიერნი.

• • •

ყრილობა გადადის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის წინადადებით ხმის უმრავლესობით ყრილობამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნ. ი. რიჟკოვი.

ტრიბუნაზეა **ნ. ი. რიჟკოვი**. მან გულწრფელი მადლობა გადაიხადა მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე მისი დამტკიცებისათვის და თქვა: ამ თანამდებობაზე მეორედ ვინიშნები და უნდა ვთქვა, რომ ეს დანიშნა, რომელიც გაიმართა ამ დღეებში, გუშინ და დღეს, მკვეთრად გამოირჩევა ჩვენს სახელმწიფოში მაღალ პოსტებზე დანიშვნის ძველ პრაქტიკისაგან. ეს მიმანიშნა ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის წლების მანძილზე იმ უდიდესი ცვლილებების შედეგად, რომლებმაც საშუალება მოგვცა სწორად დემოკრატიულ საფუძველზე განვიხილოთ ჩვენი ცხოვრების, საზოგადოების ყველა საკითხი, დაენმნოთ ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელები.

საკითხების განხილვა ყრილობაზე, მრავალრიცხოვანი შეხვედრები და ის მრავალრიცხოვანი შეკითხვები, რომლებიც ამ დღეებში მივიღეთ, მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში მომწიფდა უდიდესი რაოდენობის პრობლემები, რომლებიც უნდა გადაეჭრათ. ვფიქრობ, ყრილობა ჩამოაყალიბებს იმ მთავარ მიმართულებებს, რომლებითაც უნდა იაროს წინ ჩვენმა საზოგადოებამ, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. მე მესმის, რა რთული დროში ვხდები ახალი მთავრობის მეთაური, მე მესმის, რა უდიდესი ამოცანები დგას ქვეყნის წინაშე, და მე მესმის, რამდენად რთული იქნება მათი გადაწყვეტა. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ შევძლებთ სწორად ავირჩიოთ გეზი, ავირჩიოთ სწორი პოლიტიკა — როგორც სტატეგიული, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით, — ჩვენ შევძლებთ გადაგწყვიტოთ საზოგადოების ის პრინციპული საკითხები, რომლებზეც ასეთი მხურვალე სჯა-ბაასი იყო ამ დღეებში ყრილობაზე.

იმედი მაქვს, რომ უმაღლეს საბჭოსთანაც, რომელიც მუდმივად იმუშავებს, კომისიებთანაც, კომიტეტებთანაც, ყველა სახალხო დეპუტატთან ვიმუშავებთ მჭიდრო კონტაქტით. აღმასრულებელი ხელისუფლება ზუსტად გაატარებს იმ ხაზს, რომელსაც დამტკიცებს ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ამას მტკიცედ გპირდებთ.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხია სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს ირჩევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და 21 წევრის, მათ შორის თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელთა, შემადგენლობით.

მ. ს. გორბაჩოვს შემოაქვს წინადადება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიონ ვ. ნ. კუდრიავცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თავმჯდომარის მოადგილედ — ბ. მ. ლაზარევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე. წინადადებაა, კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანონ წარმომადგენლები ყველა მოკავშირე რესპუბლიკისაგან, პოლიტიკისა და სამართლის დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები.

დეპუტატები შეუდგნენ საკითხის განხილვას. გამოთქვა რა თავისი დამოკიდებულება, კომიტეტის შემადგენლობისადმი, დეპუტატმა **ნ. ნ. ვორონცოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები მათი პროფესიული მომზადების თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, ამავე დროს, ორატორმა ყურადღება მიიპყრო იმას, რომ კომიტეტის წევრთა სიაში არ არის არც ერთი უპარტიო. არ მინდა გამოვთქვა უპატივცემლობა პარტიის წევრებისადმი, შენიშნა მან, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ნაირგვაროვანია, და მისი ეს მდგომარეობა უნდა აისახოს ქვეყნის წამყვანი ორგანოების შემადგენლობაში.

დეპუტატმა **ვ. ი. კოლტოვმაც** არ შეიტანა ეჭვი სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე წამოყენებული კანდიდატის პროფესიულ მომზადებაში. მაგრამ მის გამოსვლებში ტელევიზიით, მის სტატიებში მან შეამჩნია სურვილი გული მოუგოს ხელისუფლებას, აუცილებლად იყოს ოფიციალური აზრის თანახმიერი. ორატორმა გამოხატა თავისი უთანხმოება კანდიდატურის გამო.

ჩემი წინადადებაა — ნუ შევქმნით კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს, თქვა დეპუტატმა **რ. ვ. ბუდაიტისმა**. ორატორმა განაცხადა, რომ კომიტეტი, მისი აზრით, აუცილებლად გახდება მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ აღორძინებაზე ზეგავლენის ინსტრუმენტი, წნეხად დააყენება მათს სუვერენიტეტს. შემდეგ დეპუტატმა წაიკითხა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისაგან დეპუტატთა ჯგუფის მიმართვა, რომელიც შეიცავდა მოსაზრებებს ახალი კომიტეტის შექმნის მიზანშეწონილობის წინააღმდეგ.

დეპუტატმა **ა. ი. დობროვოლსკიმ** განაცხადა, რომ სანამ პასუხსაგებ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდა, მან შეიტყო სპეციალისტთა აზრი. ბელორუსიის იურისტ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

(გაგრძელება)

დეპუტატ **ზ. გ. ბალაიანის** აზრით, სსრ კავშირის კონსტიტუცია დაწერილია ლაპიდარულად, მასში შეიძლება შეიტანო მხოლოდ ის, რასაც გარკვეული დატვირთვა აქვს. იმისათვის, რომ გიორკვე ყველა დეტალში, არის კონსტიტუციის შესაბამისი კომენტარები, შეახსენა მან დამსწრეთ და დაიმოწმა 1982 წელს პოლიტიკური ლიტერატურის მიერ გამოცემული წიგნი „სსრ კავშირის კონსტიტუცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი კომენტარი“, რომელშიც ნათქვამია, რომ „ავტონომიურ ოლქს ეწოდება ხალხის სახელი, რომელმაც ავტონომიური ოლქი აირჩია თავისი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ფორმად“. ვ. ნ. კუდრიავცევი და სხვა ამხანაგები, აღნიშნა ორატორმა, შედიან ამ წიგნის ავტორთა კოლექტივში. შემდეგ ორატორმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს, კონსტიტუციის დარღვევით, აქვს სახელწოდება არა ეროვნული, არამედ გეოგრაფიული ნიშნით. როგორც ცნობილია, ასეთი ეროვნებაჲ — მთიანი ყარაბაღელი — არ არსებობს.

დეპუტატმა **ს. ბ. კალიაგანმა** შენიშნა, რომ ყირიმამ უნდა აირჩიოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, მაგრამ არა დაამტკიცოს იგი. ეს მას ძალზე არსებითად მიაჩნია, ყოველ შემთხვევაში, კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურის მიმართ. აქ დაასახელეს, თქვა მან შემდეგ, ცნობილი იურისტები. წინადადებას ვაძლევ ყირიმის კვლავ დაასახელოს ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ გაიმართოს კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნები.

დეპუტატმა **დ. ა. კერიმოვმა** აღნიშნა, რომ ბრალდება, თითქოს კანდიდატი უფროსობის აზრს იმორჩილებს, გაოცებას იწვევს. მრავალი წელია ვიცნობ ვ. ნ. კუდრიავცევს, თქვა მან. არასოდეს ასეთი რამ არ შემიმჩნევია. ეს გამოჩენილი საბჭოთა იურისტია, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, წესიერი, საინტერესო და ორიგინალური კაცია. ამიტომ ბოხოვთ მხარი დაუჭიროთ მის კანდიდატურას.

მე მესმის შეფიქრიანება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობისა და ფუნქციების მიმართ, თქვა დეპუტატმა **ა. ბ. იაკუბოვმა**, და მინდა ამთავითვე გავფაფხო ეჭვი, რომ კომიტეტის საქმიანობა ხელს შეუშლის სსრ კავშირის კონსტიტუციის პოზიტიურ და კონსტრუქციულ სრულყოფას. ეს, მუშაობა პარალელურად იწარმოებს. ორატორმა მოიყვანა ვ. ნ. კუდრიავცევის პრინციპულობისა და ვაჟკაცობის კონკრეტული მაგალითები და თქვა, რომ ეს არის კაცი, რომელიც თავისი თვისებებით ზედგამოჭრილია ამ თანამდებობისათვის.

დეპუტატმა **ა. ბ. ობოლენსკიმ** გააკრიტიკა ის, რომ არ არის ალტერნატიული კანდიდატურები, მისი აზრით, ირღვევა ყირიმის რეგლამენტი. ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის წესით მან შემოიტანა პროექტი დადგენილებისა სახალხო დეპუტატთა სამშობლოგრამ ყირიმზე ამ საკითხის განხილვის გადატანისა და კანდიდატურების საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ ალტერნატიულ საფუძველზე არჩევნების მოწყობის შესახებ.

დეპუტატმა **დ. ა. კერიმოვმა** აღნიშნა, რომ ბრალდება, თითქოს კანდიდატი უფროსობის აზრს იმორჩილებს, გაოცებას იწვევს. მრავალი წელია ვიცნობ ვ. ნ. კუდრიავცევს, თქვა მან. არასოდეს ასეთი რამ არ შემიმჩნევია. ეს გამოჩენილი საბჭოთა იურისტია, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, წესიერი, საინტერესო და ორიგინალური კაცია. ამიტომ ბოხოვთ მხარი დაუჭიროთ მის კანდიდატურას.

მე მესმის შეფიქრიანება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობისა და ფუნქციების მიმართ, თქვა დეპუტატმა **ა. ბ. იაკუბოვმა**, და მინდა ამთავითვე გავფაფხო ეჭვი, რომ კომიტეტის საქმიანობა ხელს შეუშლის სსრ კავშირის კონსტიტუციის პოზიტიურ და კონსტრუქციულ სრულყოფას. ეს, მუშაობა პარალელურად იწარმოებს. ორატორმა მოიყვანა ვ. ნ. კუდრიავცევის პრინციპულობისა და ვაჟკაცობის კონკრეტული მაგალითები და თქვა, რომ ეს არის კაცი, რომელიც თავისი თვისებებით ზედგამოჭრილია ამ თანამდებობისათვის.

დეპუტატმა **ა. ბ. ობოლენსკიმ** შენიშნა, რომ ყირიმამ უნდა აირჩიოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, და ამიტომ შეუწყნარებელია ყოველგვარი ცდები ვითომდა დემოკრატიული ლოზუნგებით დაატორპედონ მისი შექმნა, განაცხადა დეპუტატმა **ი. ვ. გოლიკმა**. მანვე თქვა, რომ შეუწყნარებელია რაღაც ულტიმატუმების წაყენება ყირიმისადმი.

დეპუტატმა **ვ. ს. ტარაზევიჩმა** მხარი დაუჭირა აზრს, რომ შეტაღ საკითხა ყირიმაზე ავიჩჩიოთ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი. გამოთქვა რა აზრი ამ ორგანოში ბელორუსიისაგან ამხანაგ ევგენოვის კანდიდატურის თაობაზე, ორატორმა იგი დაახასიათა როგორც მაღალკვალიფიციური, გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც იცის სამართლებრივი საქმიანობის მრავალფეროვანი ასპექტები, აღნიშნა მისი ადამიანური თვისებები — პრინციპულობა, პატიოსნება, სამართლიანობა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს კანდიდატურა ღირსეულად წარმოადგენს ბელორუსიას.

დეპუტატ **დ. ბ. სმირნოვს** არ გამოუთქვამს პრეტენზიები კონსტიტუციური ზედამხედველობის შემოთავაზებული შემადგენლობისადმი, მაგრამ ამავე დროს გაიზიარა ზოგიერთი ორატორის შეშფოთება ნაჩქარევი არჩევნების გამო. მან დაიმოწმა სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ორგანიზაციისა და საქმიანობას განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი ამ ორგანოს შესახებ. მაგრამ ეს კანონი ჯერჯერობით არ არსებობს. მაშ, როგორღა შეიძლება ახლა შექმნათ კომიტეტი, რომელსაც არ იცოდნენა, როგორ და რა გააკეთოს? დეპუტატმა წინადადება წამოაყენა გადადონ ეს საკითხი ნახევარი წლით, რათა ზემამწენინთ გაიცნონ კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილი კანდიდატურები და ამასობაში მიიღონ შესაბამისი კანონი.

დასახელებული კანდიდატურების საწინააღმდეგო არა მაქვს რა, განაცხადა დეპუტატმა **ა. ტ. კრუგლოვმა**. ამავე დროს ორატორმა უურადღება მიაპყრო, მისი აზრით, არსებითს დეტალს — კომიტეტის შემადგენლობაში შემოთავაზებული ამხანაგების სოლიდურ ასაკს. დეპუტატმა მხარი დაუჭირა წინადადებას — ნუ ავიჩქარდებით მოვაწყოთ არჩევნები საკონკურსო საფუძველზე და შეგვიძლია ამ მნიშვნელოვან ორგანოში ავიჩჩიოთ უფრო ახალგაზრდები.

ჩვენ უფრო პასუხისმგებელნი უნდა ვიყოთ ჩვენი ამომრჩევლების წინაშე, თქვა დეპუტატმა **ნ. ვ. ფიოდოროვმა**. ამის საფუძველზე მან მოუწოდა დამსწრეთ ნუ აჩქარდებიან შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისას. კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტზე დამოკიდებულია როგორ წარიმართება კონსტიტუციური განვითარება ათი წლის განმავლობაში. ორატორს ეშინოდა, არ დაუყენებია პროფესორ კუდრიავცევის კანდიდატურა, მაგრამ წამოაყენა ალტერნატიული კანდიდატურა — პროფესორ გულიევისა.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა, გამოთქვა თავისი აზრი დეპუტატმა **ნ. ნ. ტოპაზოვამ**, ახლა ჰაერით გაჯერდება. მან დამსწრეთ ააცნო თავისი ამომრჩევლების თხოვნა იყოლიონ ამ კომიტეტში წარმომადგენლობა ავტონომიური რესპუბლიკებისაგან.

ესტონეთის დეპუტატმა, რომელმაც არ დაასახელა თავი, გაოცებულია, ბოლო ორი ამომრჩევლის ორკუსის რამდენიმე წევრის მიერ თავისი თავის დაპირისპირებას დელეგაციის დანარჩენი ნაწილისადმი, როგორც მთელი რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებისადმი. შეიძლება მოკავშირე სპრიზული ნეგატიური შედეგები. დეპუტატი არ გამოსულა კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ, მაგრამ მოუწოდა დამსწრეთ ნუ გადადგამენ ამ თვალსაზრისით წინდაუხედავ ნაბიჯს და წინადადება წამოაყენა შემოდგომისათვის გადადონ საკითხის გადაჭრა.

დეპუტატი **ი. ი. ბოლდირევი** დაეთანხმა ლიტვის დელეგაციის პოზიციას, რომელმაც განაცხადა, რომ დამსწრეთ უფლება არა აქვთ ყეზში უყარონ იმათ, ვისაც არ იცნობენ. მისი აზრით, არ შეიძლება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევა, სანამ დეპუტატები სერიოზულად არ განიხილავენ ხელისუფლების ფუნქციონირების მექანიზმისა და მისი სტრუქტურის საკითხებს.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, აღნიშნა დეპუტატმა **ლ. ი. სანდულიაკმა**, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანოა, და მისი არჩევნები — ეს არის, ალბათ, პირველი ნაბიჯი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. ორატორმა განაცხადა, რომ თავის ამომრჩევლებს დაჰპირდა, იმ შემთხვევაში, თუ ცა მოუხდება მიიღოს პასუხსაგები სახელმწიფო გადაწყვეტილებანი, იგი აუცილებლად შეისწავლის საკითხს, კონსულტაციებს გამართავს სპეციალისტებთან. ამიტომ დეპუტატმა წინადადება წამოაყენა განსახილველი საკითხი გადადონ მომდევნო ყირიმბამდე.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში უნდა ავიჩჩიოთ უაღრესად პატიოსანი ადამიანები, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა **ე. ა. ევტუშენკომ**, ისეთი პროფესიის ადამიანთა პროფესიული სიწმინდის დადასტურება, როგორიც აქვს კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის კანდიდატს, არის მათი საქციელი იმ დროს, როცა ირღვეოდა თავმჯდომარის უფლებანი. ორატორმა გამოთქვა სურვილი, რომ კუდრიავცევმა იამბოს, რას აკეთებდა იგი სპატიმროებიდან, ბანაკებიდან ადამიანთა გადარჩენისათვის. დეპუტატმა განაცხადა, რომ კომიტეტის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ უფრო ახალგაზრდა ადამიანები, ვიდრე კანდიდატია.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში დღემდე არ ყოფილა სპეციალური ორგანო, რომელიც განახორციელებდა კონტროლს კანონმდებლობის ობ ი ს სწორი და თანამიმდევრული შესრულებისადმი, თქვა ყაზახეთის დეპუტატმა, რომელსაც თავი არ დაუსახელებია. ახლა კი, როცა ასეთ ორგანოს — კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს ვქმნით, გაისმის ხმები „დავიცადოთ“, „გადავდოთო“. მე არ ვეთანხმები ამას, განაცხადა მან. ასეთი კომიტეტი ამავე ყრილობაზე და იმ შემადგენლობით უნდა შევქმნათ, რომელიც განხილული იყო წინასწარ, თქვა ორატორმა.

დეპუტატმა **ვ. ი. ალკნინმა** აღნიშნა, რომ ბალტიისპირეთის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქვა ბევრი მაღალფარდოვანი სიტყვა, რომ საჭიროა დაუბრუნდეთ ფედერალიზმის ლენინურ პრინციპებსო, მაგრამ, სიტყვით მხარის უჭერენ რა ფედერაციას, ისინი ჩვენს ქვეყანას თავს აბევენენ კონფედერაციას, თქვა ორატორმა. მან ყრილობას გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს ლატვიის სახალხო ფრონტი ამ მიზნებისათვის ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო ფრონტის ძირითადი ამოცანაა უბიძგოს რესპუბლიკას სსრ კავშირის შემადგენელობიდან გამოსვლისათვის. სახალხო ფრონტი ლატვიის სსრ უმაღლეს საბჭოს თავს აბევებს იდეას: მიიღოს კანონპროექტები, რომლებიც არღვევენ ფედერალიზმის პრინციპებს.

შემდეგ გამოსულმა დეპუტატმა **რ. ა. ბრატუნმა** განაცხადა, რომ იგი გაეცნო მასალებს, რომლებიც მას გადასცეს „ბალტიისპირეთის წარმომადგენლებმა, და ვერ ნახა აქ სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის არავითარი სურვილი. თავისი სუვერენიტეტისათვის, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშისათვის ბრძოლა არ არის საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა, აღნიშნა მან. კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა, ორატორის აზრით, ჩვენი კავშირის პირველი დიდი წინგადადგმული ნაბიჯია სამართლებრივი სახელმწიფოს გზაზე, და ამიტომ არ უნდა ვიჩქაროთ — უმჯობესია მოვეთათბიროთ ამომრჩევლებს, ისინი ხომ გვაძლევდნენ განაწესს — ვიბრძოლოთ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ორატორმა შემოიტანა წინადადება კომიტეტის შექმნის საკითხი გადაწყდეს შემოდგომაზე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე.

გაანალიზა. რა დისკუსიის მონაწილეთა მიერ გამოთქმული სხვადასხვა თვალსაზრისი, დეპუტატმა **ი. ნ. გრიაზნინმა** ყრილობას ურჩია აწონილ-დაწონილად მოეკიდონ თითოეული მათგანის განხილვას. მისი აზრით, არ უნდა ავიჩქარდეთ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის დროს.

კომიტეტის შექმნას მხარი დაუჭირა დეპუტატმა **ი. ვ. სოროკინმა**. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ იცნობს იმ კანდიდატებს, რომლებიც წარმოდგენილია შემოთავაზებულ სიაში. მისი აზრით, უნდა მოვიფიქროთ საკონკურსო შერჩევის მექანიზმები და გადავიტანოთ კომიტეტის არჩევნები. ორატორმა წინადადება წამოაყენა კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში შეიყვანონ ლენინგრადის დეპუტატის სობჩაკის კანდიდატურა.

დეპუტატმა **ა. ი. ციბულისმა** მხარი დაუჭირა იმას, რომ ცენტრალური ტელევიზიით მოეწყოს გადაცემა, რომელიც ასახავს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში არსებულ თვალსაზრისთა ფართო სპექტრს. მან მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ მოიწვიონ საერთაშორისო კომისია ამ რეგიონში მდგომარეობის შესასწავლად.

დეპუტატმა **რ. ა. მედვედევმა** მიმართა ლენინის სიტყვებს და ხაზგასმით აღნიშნა ისეთი საკითხების დიდი მნიშვნელობა, როგორიც არის ინტერნაციონალიზმი, „დიდი“ და „მცირე“ ერების ურთიერთობა. მან მხარი დაუჭირა იმით აზრს, ვინც წინადადება წამოაყენა საკითხის გადაჭრა გაიადოს მომდევნო ყრილობამდე.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ვ. ნ. კუდრიავცევს**. შეეხო რა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახელმწიფოს, მან აღიარა, რომ ეს შეცდომაა. როგორც კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, უნდა შემენინა ეს.

უპასუხა რა კითხვას საპატიმროსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უსამართლოდ მოხვედრილი ადამიანების გადარჩენაში მონაწილეობის შესახებ, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად იბრძვის ადამიანის უფლებებისათვის. ზოგიერთი მიდის მიტინგზე, სხვები წერენ გაზეთში. იურისტებს აქვთ მოქმედების საკუთარი გზები. სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტს, თქვა მან, თვეში დაახლოებით 20 კაცი მიმართავს, და მთგან მრავალი სრულიად სამართლიანად. ამ შემთხვევაში ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა დავეხმაროთ მთ — მივმართავთ გენერალურ პროკურორს, სხვა ინსტანციებს. გარდა ამისა, არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოც, როგორიცაა ჰუმანიზმის ხაზით კანონპროექტების მომზადება.

ორატორმა გაიხსენა მისი მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტები. ერთ-ერთი მთგანია ერთი წლის წინათ მიღებული ცხობილი დადგენილება ფსიქიატრიული საავადმყოფოების შესახებ. იგი სულ მთლად არ არის მსოფლიო დონესთან მიახლოებული, აღნიშნა იურისტმა, მაგრამ ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია.

შეეხო რა 9 აპრილის ბრძანებულებას, დეპუტატმა, ეჭვი, თქვა, რომ მისთვის, ისევე როგორც ყველასათვის, იგი მოულოდნელი იყო. დეპუტატმა შენიშნა, რომ დაინახა მე-11 „ბრიმ“ მუხლის ნაკლოვანებანი და მოახსენა ეს ხელმძღვანელ მუშაკებს.

უპასუხა რა ერთ-ერთ კითხვას, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციას განახლება სჭირდება. ჩვენ უნდა შევქმნათ გონივრული საქმიანობის პრაქტიკა, ზქვა მან. რაც შეეხება რესპუბლიკურ კანონმდებლობას, აქ საჭიროა გადავიდეთ ახალ ფედერალიზმზე და აღვადგინოთ კავშირსა და რესპუბლიკებს შორის ფედერალური ურთიერთობის ლენინური პრინციპები. ამ რთულ სიტუაციაში შეიძლება გამოვნახოთ გონივრული იურიდიული გადაწყვეტანი, რომლებიც დაკმაყოფილებს როგორც კავშირს, ისე რესპუბლიკებსაც.

შეეხო რა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომ ი ტ ე ტ ი ს როლს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობისადმი დაქვემდებარებულმა კომიტეტმა უნდა გაატაროს კანონიერების, დემოკრატიზაციის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, უწყებრივ სამართალშემოქმედებასთან ბრძოლის ხაზი. კომიტეტი კოლეგიური ორგანოა, რომელშიც მარტო ერთი თავმჯდომარე როდი წყვეტს ყველაფერს. კომიტეტმა უნდა იმუშაოს საჯაროდ, დაეყრდნოს ყრილობის ზებასა და მის გადაწყვეტილებებს. დეპუტატმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის შემოღებას და თქვა, რომ ისეთი ორგანოს შექმნა, როგორიც არის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, წინგადადგმული ნაბიჯია სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებლობის გზაზე.

განხილულ საკითხზე შემდეგ ახსნა-განმარტებანი მისცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა**.

განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები **თ. მ. ბურლაცკი, ტ. ჟ. მოშნიაგა, ი. ი. ბრედიკინი**.

ხმის უმრავლესობით დეპუტატებმა გადაწყვიტეს მოაწყონ სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევნები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მიმდინარე ყრილობაზე.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება მომდევნო სხდომამდე გადადონ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევის საკითხის განხილვა. ყრილობის პრეზიდიუმს დაევალა იმ დროისათვის მოაწყოს კონსულტაციები და მოახსენოს შედეგები.

მ. ს. გორბაჩოვს შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ დამტკიცონ ე. ა. სმოლენცევი.

ე. ა. სმოლენცევმა უპასუხა დეპუტატის კითხვას.

ხმის უმრავლესობით ე. ა. სმოლენცევი დამტკიცეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

შემოდის წინადადება ი. ვ. მატვეევი დამტკიცონ სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრად.

ხმის უმრავლესობით წინადადება მიიღეს. ი. ვ. მატვეევს ამტკიცებენ სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრად.

მ. ს. გორბაჩოვი წინადადებას იძლევა გ. ვ. კოლბინი დაამტკიცონ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

გ. ვ. კოლბინმა უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

ყრილობა კენჭისყრით ამტკიცებს გ. ვ. კოლბინს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

დეპუტატთა განსახილველად შემოტანილია საკითხი ა. ი. სუხარევის სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად დამტკიცების შესახებ.

ა. ი. სუხარევს ეძლევა სიტყვა დეპუტატთა კითხვებზე პასუხისათვის.

ხმის უმრავლესობით ა. ი. სუხარევს ამტკიცებენ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად.

ყრილობის საღამოს სხდომა დამთავრდა.

9 ივნისს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

* * *

9 ივნისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ა. ი. লუკიანოვი**.

ყრილობამ განაგრძო სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა, საბჭოთა მთავრობის მომავალი საქმიანობის პროგრამის საკითხის განხილვა.

ჩვენი ქვეყნის მთავრობის მომავალი საქმიანობის პროგრამის შესახებ მოხსენების განხილვა განაგრძო დეპუტატმა **ზ. ბეიშეკიევმა**. გარდაქმნას, თქვა მან, მხარს უჭერს მთელი ხალხი, საბჭოთა ადამიანები თავიანთი მიწა-წყლისა და ბედის ბატონ-პატრონები ხდებიან. მათ კარგად ესმით, რომ ყოველივე დასახულის ხორციშესასხმელად ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

სწორედ ამ პოზიციებიდან დეპუტატმა დაწერილებთან განიხილა სოფლის მშრომელთა და, კერძოდ, ყირგიზ მეცხოველეთა მდგომარეობა. ძნელია მწყემსის შრომა. და მაინც ქვეყნის მრეწველობას მრავალი წლის მანძილზე პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეუძლია მისი შრომის შესამსუბუქებლად, ეფექტიანობის გასაზრდელად. არა გვაქვს მწყემსის სახლები, არ გვყოფნის მექანიზაციის საშუალებანი, მწყემსის ერთადერთი „სამარჯვი“, ფიწალია, თქვა დეპუტატმა.

მან მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი, რომ საჭიროა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება ადგილებზე. კერძოდ, ყირგიზეთში უნდა შეიქმნას გადამამუშავებელი ბაზა, და მაშინ რესპუბლიკა ხორცისა და მატყლისათვის მეტ სახსრებს მიიღებს, რაც ესოდენ საჭიროა მისი სოციალური განვითარების ტემპის დასაჩქარებლად. ამას, თქვა ორატორმა, ხელი უნდა შეუწყოს შესასყიდი ფასების გადახედვამაც.

დიდი შეშფოთებით ილაპარაკა დეპუტატმა ისიქიროოლის ტბის რაიონში შექმნილ ეკოლოგიურ ვითარებაზე. მას რომ არაფრის საქმელი ბედი არ ეწიოს, უნდა შეიქმნას ამ ბუნებრივი მარგალიტის დაცვის საკავშირო კომიტეტი.

გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო ეროვნებათშორის ურთიერთობებს. ჩვენ, თქვა დეპუტატმა, გვაწუხებს, რომ ცალეული ადამიანები, პიროვნებათა ჯგუფები ამწვავებენ ეროვნებათშორის ურთიერთობებს. ეს ჩვენს ყრილობაზეც ჩანს. ხალხის რჩეულებმა უნდა გამოიყენონ მთელი თავიანთი ავტორიტეტი, მთელი გავლენა იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

დეპუტატმა **ბ. ხ. პოპოვმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმ რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა. მან, კერძოდ, თქვა, რომ მრავალი წერილი და დეპეშა მიიღო შრომითი კოლექტივებისაგან, რომლებშიც სთხოვენ აღძრას შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის თანაფარდობის კონტროლის საკითხი. ეკონომისტმა მეცნიერმა განმარტა პრაქტიკულად ამ მექანიზმის მოქმედება და ცხადყო, როგორ აქ ერთმანეთს ეჯახება მწარმოებლის, საზოგადოებისა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ინტერესები.

მე პირადად, განაცხადა მან, მგონია, რომ, თუ დამატებით წარმოებულ ხორცზე, გაკეთებულ მაცივარსა თუ წყვილ ფეხსაცმელზე სახელმწიფო მანეთისაც ვერ მიიღებს, მაინც უნდა ვაწარმოოთ ისინი, ყოველგვარი განაგარიშების მიუხედავად. ხოლო შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის თანაფარდობის კონტროლის ღონისძიებანი ხელს აძლევს მხოლოდ აპარატს. იგი არავითარ დეფიციტს არ აღმოფხვრის. თაქტობრივად ეს არის ცდა შრომითს კოლექტივებს აზღვევინონ ხელმძღვანელობის უნიათობა ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტაში.

ორატორი შეიდა სოციალურ-ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის ისეთ მოდელს, როგორიც არის საქონლის წარმოების მომატება, და დასვა კითხვა: ყოფილა თუ არა ჩვენს ქვეყანაში ოდესმე მთავრობა, რომელიც არ დაგვპირებოდეს ასეთი წარმოების გაზრდას? არ ყოფილა. მაგრამ გვყოლია ისეთ არა მთავრობა, არა კეთილი ზრახვები, არამედ მეურნეობრიობის ობიექტური მექანიზმი. ნ. ი. რიჟკოვს თავის მოხსენებაში რომ ეჩვენებინა, რომ უკვე შექმნილია ახალი სამეურნეო მექანიზმი, რომელსაც შეუძლია არა ხარჯოს, არამედ შექმნას, მაშინ დაპირებანი შეიძლებოდა გვერწმუნებინა. ჯერჯერობით უახლოესი ორი-სამი წლისათვის ყველა „წამალი“ ადმინისტრირების არსენალიდან არის აღებული.

ფინანსური კრიზისი ეკონომიკური კრიზისის ანარეკლია. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს ან ფასების სახელმწიფო კომიტეტის მწვავე კრიტიკა, ორატორის აზრით, ერთობ პირობითად არის სამართლიანი. ჩვენ, თქვა მან, ვეცემით ხოლმე ავადმყოფობის გარეგნულ გამოვლინებებს. ამასთან დაკავშირებით მეცნიერმა აღნიშნა, რომ ინფლაცია ყველა თანამედროვე ეკონომიკის ნიშნია. უნდა ვისწავლოთ ცხოვრება ინფლაციის პირობებში. საერთოდ, მას უხეიროდ მიაჩნია თვით პრობლემის ფორმულირება — ეკონომიკის გაჯანსაღება და კრიზისიდან გამოსვლა. ეს რომ შეეკუმშებოდა, მაშინ არავითარი გარდაქმნა არ დაგვჭირდებოდა. საგანგებო ღონისძიებანი შედეგს ვერ მოგვცემს. ამოცანები რეალური უნდა დავსახოთ: არა ეკონომიკის გაჯანსაღება (ეს არ ძალუძს საგანგებო ღონისძიებებს), არამედ გარდაქმნის დაჩქარების წანამძღვრების შექმნა.

მეცნიერი შეეხო თვით გარდაქმნის მოდელს და საჭიროდ მიიჩნია, რომ უნდა ვიაროთ გზით, როცა ცენტრი სცემს რამდენიმე ფუნდამენტურ აქტს, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური მექანიზმის ზოგად საფუძვლებს და ტოვებენ ეკონომიკის საბაზისო საფუძვლებს ყველა რესპუბლიკაში, ხოლო მთავარი კანონმდებლობა გადავცეთ თვით რესპუბლიკებს.

შემდეგ დეპუტატმა თქვა, რომ საჭიროა წარმოებითი ურთიერთობა შეეუსაბამოთ საწარმოო ძალებს. ბოლო უნდა მოიღოს ობიექტურ ეკონომიკაზე ძალმომრეობას.

იგი დაწვრილებით შეეხო საოჯახო გლეხური მეურნეობის პრობლემას. ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალურია გარდაქმნაში. მე ის მაშინებს, - განაცხადა ორატორმა, რომ ჯიუტად არ გვსურს ანგარიშს ვუწევდეთ სოფლის მეურნეობის მსოფლიო გამოცდილებას. ყველა აყვავებული ქვეყნის მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ იქ საფუძველია საოჯახო გლეხური მეურნეობა — ფერმები. ჩვენ კი ჩვენი ისტორიის დასაწყისიდანვე სხვა გზებით მივდიოდით. ახლა მარტის პლენუმმა, ბოლოს და ბოლოს, განაცხადა: სოციალიზმი შეეთავსება პირად მეურნეობას. მაგრამ ეს თეორიული დასკვნა ვერ გადაიქცა მოქმედების კონკრეტულ პროგრამად. და ორატორმა კვლავ თქვა: მე მაშინებს, რომ მზად არიან კვლავ ხარჯონ ახალი მილიარდები.

უმთავრესი, დასკვნა რა, ის არის, რომ არ შეიძლება შევუქმნათ ხალხს შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენს სახელმწიფოს ჭკონდეს რაღაც ბეღლები და, თუ მას დავაწყებთ, დავიღრიალებთ, ეუბნაში გამოვალო, შეიძლება რაღაც გაიმეტოს და ვინმე გაადნიეროს. ყოველგვარ განცხადებანი იმის შესახებ, რომ ჩვენ განვახორციელებთ გარდაქმნას და, გავაუმჯობესებთ კეთილდღეობას, — ეს არსებითად ხალხის მოტყუებაა. გამოსავალი ერთი გვაქვს: ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობა მივცეთ ყველას, ვისაც სურს მუშაობა.

მრავალ დანაკარგს შორის, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას გასულ წლებში მოუვიდა, თქვა დეპუტატმა **ა. იაკუბოვმა**, ერთი განსაკუთრებით საშინელია— ეს არის გულმოწყალების დაკარგვა. ამას რომ ამბობდა, ცნობილ უზბეკ მწერალს მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ ქვეყანამ დიდი ხნის ნანატრ „ბამბის დამოუკიდებლობას“ დიდი დანაკარგების ფასად მიაღწია: გაჭრა ოდესღაც აყვავებული ბაღები და ოაზისები; დეჭხანები, განსაკუთრებით ქალები, ქანცის გაწყვეტამდე შრომობენ.

უზბეკეთის დეპუტატმა ამასთან დაკავშირებით ყირიმის დელეგატებს დაუსვა კითხვა: ნუთუ ამ ფასად მოპოვებული ბამბა ასე ძალიან გვჭირდება? შუა აზია, თქვა მან, უნიკალური რაიონია, ორმელიც ეკოლოგიური კატასტროფის უფსკრულის პირას აღმოჩნდა. არადა, განაცხადა დეპუტატმა, უზბეკეთს მარტოკას შეუძლია გამოკვებოს ნახევარი ქვეყანა. ამისათვის გაბედულად უნდა გავათავისუფლოთ რესპუბლიკა მონოკულტურისაგან, ხოლო უზბეკეთის ხალხს საშუალება მივცეთ მხრები გაშალოს და აღორძინოს თავისი მხარე.

დღეს ცხადია, რომ ყრილობა მნიშვნელოვნად წაგვიყვანს წინ, თქვა დეპუტატმა **ვ. ა. ოხტროუხოვმა**. მაგრამ ორატორს აწუხებს გარდაქმნის ზოგიერთი აქ წარმოთქმული სიტყვა. ჩვენ ყველამ ვიცით, განაცხადა მან, რომ განახლების იდეების გენერატორია კომუნისტური პარტია. იგი ახალ პირობებშიც რჩება საზოგადოების ხელმძღვანელ ძალად, თვითონ გარდაიქმნება, მოუწოდებს ყველას საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და მოძრაობას ერთობლივი მოქმედებისათვის.

აღნიშნა რა ჩვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმის მნიშვნელობა

თვალსაზრისი

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ბევრი ისტორიული ღირებულების მოვლენა ახლებურად ფასდება. ყოველივე ეს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის დაწყებულმა ბრძოლამ განაპირობა. ასე სდება ჩვენთვისაც. ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი, თუ სხვა დარგის სპეციალისტი, ახლებურად აფასებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს. ისინი 1921 წლის 25 თებერვლის აქციას საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციად, ანექსიად, ძალდატანებით განსაბჭოებად თუ რევოლუციის ექსპორტად მიიჩნევენ. პირადად თქვენ რას იტყვით ამ საკითხზე? ამ ეხებოდა ჩვენს მომართა ჩვენმა კორესპონდენტმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ლევან თორიძეს.

— ეს პრობლემა, — თქვა მან, — ახალი არ არის. იგი დასაბამს თვით 1921 წლის თებერვლიდან იღებს. საქმე ის გახლავთ, რომ საზღვარგარეთ მყოფი მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (პარტიული კუთვნილების მიუხედავად), II ინტერნაციონალის პარტიები და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამტკიცებდნენ, 1921 წლის თებერვალში საქართველოში არ ყოფილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო საერთო-სახალხო (საქართველოს მშრომელთა) აჯანყება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის წითელმა არმიამ დაამყარაო.

საბჭოური ისტორიოგრაფია გულმოდგინედ და უკანასკნელ დრომდე ერთსულოვნად ამტკიცებდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აჯანყებულთა რაზმებისა და წითელი არმიის ერთობლივი მოქმედების შედეგად. ცოდვა გატეხილა, ბევრს და ვიტყვი, რომ მსგავს დებულებას ჩემს ადრინდელ ნაწერებშიც ვხვდებით.

ამჟამად კი უნდა გავიზიარო იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში არ ყოფილა ქართველ მშრომელთა არავითარი აჯანყება (მით უმეტეს საერთო-სახალხო აჯანყება) და რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მხოლოდ და მხოლოდ წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქცია.

ვამბობ, უნდა გავიზიარო-მეთქი, რადგან ეს შეხედულება სხვადასხვა ნიუანსით, სხვა მკვლევრებმა ოფიციალურად ჩემზე ადრე გამოთქვეს.

რაც შეეხება ამ „სხვადასხვა ნიუანსს", იგი გაქრება ან შემცირდება მაინც, თუკი უფრო ჩაუღრმავდებით საკითხის არსს, მიუდგომლად გავაანალიზებთ ფაქტობრივ მდგომარეობას და გავმართავთ ჭეშმარიტად მეცნიერულ ღისკუსიას.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე ადრე დამკვიდრებული დებულების გადასინჯვა კი, ჩემი აზრით, აუცილებელია. ამას გვკარნახობს პრობლემის ობიექტური გაშუქებისა და საერთოდ, საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ინტერესები, მით უმეტეს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტობრივი მდგომარეობა ვერაფრით ვერ ჯაობს ძველ დებულებას.

ამჟერად თავი შევიკავოთ ფაქტობრივი მდგომარეობის დეტალური აღწერისაგან (ვინ იცის, იქნება ადრე დაგვჭირდეს იგი) და დავიმოწმოთ ამ საკითხში კომპეტენტურ მოღვაწეთა ხელიდან გამსვლელი რამდენიმე დოკუმენტუმასალა.

I.

1921 წლის 28 იანვარს, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, **ი. ბ. სტალინი** მოსკოვიდან ასეთი დეპეშას უგზავნის გ. კ. ორჯონიკიძეს:

„ბაქო. ამხ. ორჯონიკიძეს... 28/1, 20-25. შიფრი 50. ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გაწოის მოსამზადებელი მუშაობა ის ვარაუდით, **რომ შესაძლოა საჭირო შეიქნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე შეკითხვა ვაუგზავნოთ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალები დგებენ ამ კადევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელზე გამოგზავნე ცნობა, შეგეძლოთ თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალთა არსებული რაოდენობით. თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება, რაც მოხდება დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ. მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობას. № 1225. სტალინი".** (აქ და ქვემოთ ი. ბ. სტალინის, ლ. დ. ტროცკის, ფ. ე. მახარაძისა და გ. კ. ორჯონიკიძის (იტატების ქართული თარგმანი ეკუთვნის რევაზ ბარკალაიას).

დაახლოებით 13 დღის შემდეგ, ზუსტად კი 1921 წლის 10 თებერვალს, ე. ი. საბჭოთა სომხეთიდან წითელი არმიის მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვამდე 1 დღით ადრე, ი. ბ. სტალინი კვლავ უგზავნის დეპეშას გ. კ. ორჯონიკიძეს.

„ბაქო. ორჯონიკიძეს მოსკოვიდან 10/II, 15-26, შიფრი 50. შეცდომა იყო კავკასიაში დემობილიზაცია არათუ ოცი ათასი, არამედ 20 ჯარისკაცისაც კი. უნდა იცოდეთ, რომ ტრანსპორტი არ გვყავს, ჯარის თქვენთან გადმოყვანა არ შეგვიძლია, უნდა გამოვზიდოთ პური კავკასიიდან, თორემ აქ პური არ გვყოფნის. გულმშვიდად და უყურადღებით განსაჯეთ რა ზომები მივიღოთ ჯარის არსებული რაოდენობის გასაუმჯობესებლად და გამოსაკვებად. ისე, რომ მოსახლეობას ტკივილად არ დაეჯვენ. მაცნობე საჭიროა თუ არა ჯარი საქართველოს გასაბჭოებისათვის და როდის დადგება შესაფერი მომენტი საამისოდ. გვაცნობე ხომ არ შეიძლება ჯარის რაოდენობის გადიდება, თუ პეტროსკიდან ბაქოში ზღვაზე გემებით გადმოვიყვანთ მას. ყველაფერი გულდაჯერებით განსაჯეთ... ზუსტად მოიფიქრეთ წინადადებანი. გვიპასუხეთ უფრო აკურატულად. ცეკას პოლიტბიუროო. ცეკა შენ გთხოვს ამ დაშიფრული დეპეშის შინაარსი გააცნო სმლგას და მერე მასთან ერთად გამოგზავნო მოსკოვში საერთო პასუხი. მიიღე თუ არა №1225 დაშიფრული დეპეშა და ყველაფერი გაიგე თუ არა. რატომ არ არის პასუხი მასზე. № 1226. სტალინი".**

რატომღაც გ. კ. ორჯონიკიძემ ამ დეპეშის პასუხიც დაგვიანა. არადა, მოსკოვში ღელავდნენ. ამიტომაც იყო, რომ მან მეორე დღესვე ასეთი შეტყობინება მიიღო რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან: „ამხ. სტალინმა ეს-ეს არის ტელეფონით გვთხოვა გვეცნობებინა თქვენთვის შემდეგი:

„ბაუშინ როსტოფის მეშვეობით 1225 და 1226 ნომერი დაშიფრული დეპეშები გამოგიგზავნეთ. 1226 პოლიტბიუროს დავალებით იყო. შეშფოთებული ვარო თქვენი დუმილით. ველით სასწრაფო პასუხს. თუ შიფრი ვერ გაიგეთ, მოითხოვეთ გამეორება. ერთხელ კიდევ ველით პასუხს. 11/2-21 წ. სტალინი".

გ. კ. ორჯონიკიძის სახელზე 1921 წლის იანვარ-თებერვალში გამოგზავნილი ეს სამი დეპეშა უწინარეს ყოვლისა იმას გვითვალწინებენს, რომ მათი ავტორი, ი. ბ. სტალინი, იმ აქციას, რომელსაც წითელი არმია 1921 წლის თებერვალში განახორციელებს საქართველოში, „სამხედრო ჩარევასა და საქართველოს ოკუპაციას" უწოდებს. ი. ბ. სტალინმა შესანიშნავად იცის, რომ 1918-1920 წლების საქართველოში მშრომელთა არაერთი აჯანყება მოეწყო მენშევიკური მთავრობის დასამხობად, მაგრამ ამას მისთვის არ შეუშლია ხელი, რომ წითელი არმიის მიერ საქართველოს მომავალ ოკუპაციაზე ელაპარაკა. მართალია, ასეთ კვალიფიკაციას ი. ბ. სტალინი 28 იანვარს, ე. ი. 11-12 თებერვლის ამბებამდე რამდენიმე დღით ადრე იძლევა, მაგრამ ჩვენ ზომ კარგად ვიცით, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოში მშრომელთა არავითარი აჯანყება არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან საქართველოს კომუნისტებს თვით ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები უკრძალავდნენ აჯანყების მოწყობას, ხოლო სტიქიური აჯანყებანი თავისთავად გამორიცხული იყო.

რაც შეეხება ლორის ნეიტრალურ ზონაში მოწყობილ „აჯანყებას", ვფიქრობთ, სპეციალისტებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ იგი ინსცენირებული იყო და ამ პოლიტიკურ პრობლემაზე სიროიზული მსჯელობისას ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

როგორც ეს დეპეშები გვაცნობებენ, გ. კ. ორჯონიკიძემ ი. ბ. სტალინმა 1921 წლის 26 იანვრისათვის უკვე მოახერხეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დარწმუნება, რომ დადგა საქართველოს გასაბჭოებაზე ფიქრის დრო. ამიტომაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ზრუნავს XI წითელი არმიის შემადგენლობის რაოდენობრივი გაზრდისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ ამ საკითხით უკვე თვით ვ. ი. ლენინიც დაინტერესებულა და მასაც აღარ ეჩვენება უხერხულად საქართველოს გასაბჭოებისათვის წითელი არმიის გამოყენება. თუმცა, როგორც ვიცით, ვ. ი. ლენინს არასწორ ინფორმაციას აწვდიან საქართველოში იმ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ. აშკარად ირკვევა ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოების საკითხი უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას.

II.

მოვუსმინოთ ლ. დ. ტროცკის, რომელიც მაშინ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იყო. ერთობ საინტერესოა მისი აზრი ამ საკითხზე, რომელიც გამოთქმულია საზღვარგარეთ გამოცემულ მის წიგნში — „სტალინი". ლ. დ. ტროცკი წერს:

„მენშევიკური საქართველო ვერ გაძლებდა. ამას ყველა ხედავდა, მაგრამ გასაბჭოების მომენტისა დაამარცხა და რომელსაც ყოველი წინააღმდეგობა პირად შეურაცხყოფად მიიჩნდა".

როგორც ვხედავთ, ლ. დ. ტროცკიც აღიარებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მზად ნიადაგი ეთვის მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და 1921 წლის 25 თებერვლის აქციას იგი სამხედრო ინტერვენციას უწოდებს, თუმცა არ გმობს მას.

საგულისხმოა, ისიც, რომ ლ. დ. ტროცკის აზრით, 1924 წლის აჯანყება საქართველოს ნაადრევმა გასაბჭოებამ გამოიწვია.

III.

ახლა დავიმოწმოთ ერთი ადგილი ფილიპე მახარაძის მიერ 1921 წლის 6 დეკემბერს დაწერილი მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გადაეცა. იმ დროს ფილიპე მახარაძე — საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებული და მოსკოვში გაწვეული იყო. **ფილიპე მახარაძე** გამოთქვამს რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საქმიანობის შესახებ და სხვათა შორის აღნიშნავს:

„1921 წლის დამდეგს, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების მომენტში, აქ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა უაღრესად საეჭვო იყო... და მოხდა ისე, რომ როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვაზე საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი არ იცოდა... ამრიგად, გამოვიდა შემდეგი: ჯერ ერთი, საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს. მეორე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს ადგილებზე არც ისეთი პარტიული უჯრედები აღმოჩნდა და არც ისეთი პარტიული ცალკეული წევრები, რომელთაც უნარი ექნებოდათ მოეწყოთ ხელისუფლება, და ცხადია, ამ საქმისათვის მეტწილად ხელი უნდა მოეკიდა ხალვაშ ან პირდაპირ დანაშაულებრივ ელემენტებს. აი, სად არის ჩვენი პირველი ცოდვა, აი სად არის ფესვი ბოროტებისა. აქედან დაიწყო ყველა ჩვენი მარცხი თუ სანახევროდ მარცხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეში. შეიძლებოდა თუ არა ანაზღად მოგვეღო ბოლო ყველა ამ შეცდომისა და დეფექტისათვის და სწორი გეზი აგვეღო... უთუოდ შეიძლებოდა, თუ იმთავითვე მოკავხრებდით საქართველოს ცენტრში მტკიცე და ურთიანი ხელისუფლების დამყარებას.

რაც არ უნდა სიძნელეები შეგვედროდა, რაც არ უნდა რთული ვითარება ყოფილიყო, ამის მიღწევა შეიძლებოდა. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე ორგანო გაჩნდა: ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რეგიონალიური კომიტეტი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მეორე მხრივ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად ნამდვილად ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები იყვნენ. ეს უკანასკნელი ორგანოები უმეტესწილად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტეტისათვის წესუტყობინებლად უაპელაციოდ წყვეტდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა".

რა შეიძლება ითქვას ამ მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით? როგორც ვხედავთ, აქ დადასტურებულია, რომ ჯერ — ერთი, საქართველოში 1921 წლის თებერვალში არათუ არავითარი აჯანყება არ ყოფილა, არამედ წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შესახებ ადგილობრივ მომუშავე კომუნისტმა არაფერი იცოდა და საერთოდ, არც არავინ ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე, **მეორე,** ფილიპე მახარაძე აღიარებს, რომ საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო; **მეხუთე,** თავის თეზისს საქართველოს „გარედან დაპყრობის" შესახებ ფილიპე მახარაძე იმითაც ასაბუთებს, რომ რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და მეფურთმეტე არმიის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად, თურმე, არაფერს ეკითხებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს რევკომს. ყოველივე ეს, ბარათის ავტორის აზრით, კიდევ უფრო აძლიერებდა საქართველოს „გარედან დაპყრობის" შთაბეჭდილებას და იქცეოდა მომავალ სერიოზულ გართულებათა წინამძღვრად.

ფილიპე მახარაძე საქართველოში 1921 წლის თებერვლის ამბების თვითმხილველი არ არის, რადგან მაშინ მოსკოვში მუშაობდა. საქართველოს რევკომის შემადგენლობაში, რომელიც 1921 წლის 16 თებერვალს შეიქმნა, იგი დაუსწრებლად შეიყვანეს. ამიტომ ზემოთციტირებული დებულება, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას რომ ეხება, ცხადია, არ ეყრდნობა თვით ფილიპე მახარაძის, როგორც 1921 წლის თებერვლის ამბების უშუალო მომსწრის შთაბეჭდილებებს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ფილიპე მახარაძეს, როგორც საქართველოს ბოლშევიკების ერთ-ერთ ლიდერს, ზუსტი ინფორმაციის დეფიციტი არ ექნებოდა ალბათ არც მოსკოვში ყოფნისას და მით უმეტეს, საქართველოში დაბრუნების (1921 წლის 6 მარტი) შემდეგ. ამდენად მის მოსაზრებას ამ საკითხზე (მით უფრო, რომ იგი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სავალალო მდგომარეობას ეხება) მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სხვათა შორის, ფილიპე მახარაძის ეს მოხსენებითი ბარათი ხელში ჩაუვარდათ მენშევიკებს, რომლებმაც იგი გაზეთ „თავისუფალ საქართველოს" 1922 წლის 24-ე ნომერში გამოაქვეყნეს. ამასთან დაკავშირებით მოხსენებითი ბარათის ავტორს გარკვეული უსიამოვნებაც შეხვდა. იდგა საკითხი მის პარტიულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოირკვა, რომ მას უშუალოდ ბარი არ მიუძღვის საიდუმლო ინფორმაციის გავრცელებაში და ადვილად გადარჩა. (ფილიპე მახარაძის აღნიშნული მოხსენებითი ბარათი გაზეთ „თავისუფალ საქართველოდან" შარშან გადმობეჭდა ერთ-ერთი ე. წ. არაფორმალური ორგანიზაციის ჟურნალმა).

IV.

ამავე საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს შეიცავს სერგო ორჯონიკიძის მოხსენება, რომელიც მან რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე გააკეთა. ამ პლენუმზე სერგო ორჯონიკიძეს, როგორც პარტიის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის ხელმძღვანელს, თავის მართლება მოუხდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო, იმის გამო, რომ საქმე აჯანყებამდე მივიდა. სერგო ორჯონიკიძემ მოაგონა პლენუმს, საქართველოში დიდი გაფლეა ჰქონდათ და აქვთ მენშევიკებს, რაც კიდევ უფრო ართულებდა მათს წინააღმდეგ ბრძოლასო. თავდაცვის მიზნით სერგო ორჯონიკიძე იძულებულია ეჭშმარიტება აღიაროს. იგი აღნიშნავს: **„საქართველოში ჩვენ 1921 წელს შევედით. ჩვენს წინააღმდეგ აღსდგა მენშევიკების მიერ დაშინებული და წაქეზებული თითქმის მთელი მოსახლეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ხალხობა და ქართველი მუშები მთელი 20 წლის მანძილზე მენშევიკების პარტიის განუყოფელ გავლენას განიცდიდნენ. ჩვენსა და მენშევიკებს შორის ატეხილი დავა ჯერ კიდევ 1904-05 წწ. მენშევიკთა სახარგებლოდ გადწყდა. მაშინ, როცა ამ დროს ჩვენ იქ ათეულები, ხულ ბევრი — ასეულები ვიყავით, მენშევიკებს თავიანთი რიგებში პარტიის 15000 წევრი მაინც ყავდათ. მაშინ, როცა ჩვენი პარტიის ვერც ტაკოლმოლის, ვერც ლონდონის ყრილობაზე საქართველოდან ვერც ერთი დელეგატის აჯანყება ვერ მოვახერხებთ, მენშევიკებს თითქმის ორი ათეული დელეგატი ყავდათ. ამ დელეგატთა შორის ბუნის ორგანიზაციიდან უცვლელად იყვნენ პლეხანოვი და აქსელროდი. 1920 წელს მენშევიკთა პარტიის ყრილობაზე რომელიც ივნისის თვეში გაიმართა, 60000 წევრი იყო წარმოდგენილი, ქალაქ თბილისსა და თბილისის მაზრაში 12000 მენშევიკი იყო, ჩვენ კი 1921 წელს 500-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად ლენინური გაწვევის კანდიდატებთან ერთად დაახლოებით 6000 გვყავს, ოზურგეთის მაზრაში (ბურიანში) მენშევიკებს 8600 ყავდათ, ჩვენ კი 1921 წ. 600-700-ზე მეტი არ გვყავდა, ახლა 12000 გვყავს. სენაკის მაზრაში ამათ ყავდათ 4000, ჩვენ კი 1921 წელს 600-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად დაახლოებით 1000 გვყავს. ზუგდიდის მაზრაში ამათ ყავდათ 5857, ჩვენ კი 1921 წელს 300-400-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად 500-მდე გვყავს. სამ მაზრაში — ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში 1920 წელს მენშევიკებს 18000 წევრი ყავდათ, ჩვენ კი 1921 წელს 1600-1700-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად 2400 გვყავს.**

როგორც ხედავთ, ძალთა თანაფარდობა სულაც არ არის ჩვენი სასარგებლო. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გურიაში გლეხობა უაღრესად შეგნებულია და ყოველი ცოტად თუ ბევრად გავლენიანი და შეგნებული გლეხი რომელიმე პარტიის წევრია — ან მენშევიკია, ან ბოლშევიკია, ანდა კიდევ ეხერი. უპარტიო გავლენიან გლეხს გურიაში ძნელად თუ იპოვი. და აი ამ სამნახევარი წლის მანძილზე ჩვენ ვერ მოვახერხეთ გურული გლეხობის გამოხსნა მენშევიკებისაგან, მაშინ როცა საფუძვლიანად და გადაჭრით გამოვიხსენით მენშევიკებისაგან თბილისის, ბათუმის, ფოთის და საერთოდ, საქართველოს მუშები. და ეს ამისდა მიუხედავად, რომ თბილისის რკინიგზის სახელოსნოები მთელი 20 წლის მანძილზე მენშევიკთა ბატონობის დასაყრდენი იყო. უმოავრესად აქ, ამ სახელოსნოებში ჩამოაყალიბეს მენშევიკებმა თავიანთი სახალხო გვარდია, რომელიც 1919 წელს აჯანყებულ გლეხებს უხწორდებოდა საქართველოს ბევრ მაზრაში. ისევ 1921 წელს ბასობრივად გამოეცხადურნენ მენშევიკთა მთავრობის მოწოდებას შაშანით ხელში გამოელაშქრა ჩვენს წინააღმდეგ, როცა მენშევიკებს შევუტიეთ".

ამრიგად, თვით სერგო ორჯონიკიძემაც დაგვიდასტურა, რომ 1921 წელს, როცა წითელი არმია საქართველოში შემოვიდა, მის წინააღმდეგ აღსდგა საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა. საგულისხმოა, სერგო ორჯონიკიძის ის აღიარებაც, რომ საქართველოს მუშები 1919 წელსა და 1921 წლის თებერვალში იარაღით იცავდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. (სერგო ორჯონიკიძის მოხსენების ციტირებულ მონაკვეთში ბევრი ციფრია მოყვანილი. მათი სიზუსტე ამჟერად არ შეგვიმოწმებია. ვხვდებით აშკარა უზუსტობასაც. კერძოდ, ის ამბობს, რომ პარტიის სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებზე საქართველოდან ვერც ერთი დელეგატის გაგზავნა ვერ მოვახერხეთო. სინამდვილეში კი, მაგალითად, ი. ბ. სტალინი, ორივე ყრილობას ესწრებოდა, როგორც თბილისის პარტიული ორგანიზაციის წარგზავნილი).

* * *

აქ შევწყვეტოთ ასეთი ხასიათის დოკუმენტური მასალის ციტირება, საკითხი ისედაც ნათელია: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის პერიპეტიებში კარგად გარკვეული მოღვაწეები ადასტურებენ, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელთა არავითარი აჯანყება არ ყოფილა და რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ წითელი არმიის ძალებით დამყარდა. ამასთან, ეს მოღვაწეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფორმაზე. ი. ბ. სტალინი მას ოკუპაციას უწოდებს, ლ. დ. ტროცკი, — სამხედრო ინტერვენციას, ფ. ე. მახარაძე ოდნავ არბილებს მდგომარეობას და აღნიშნავს, საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის იერი მიიღოო. სერგო ორჯონიკიძის მიერ დახატულ ფაქტობრივ მდგომარეობას კი ერთი ტერმინიც მიესადაგება, მეორეც და მესამეც. არის სხვა კვალიფიკაციებიც: რევოლუციის ექსპორტი, ძალდატანებითი გასაბჭოება, ანექსია და ა. შ.

თუ რამელი შეფასება ესადაგება ყველაზე მეტად ფაქტობრივ მდგომარეობას, ამას გაარკვევს მეცნიერული დისკუსია ისტორიკოსთა, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა და საზოგადოებათმცოდნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ...

ი. ბ. სტალინი, ლ. დ. ტროცკი, ფ. ე. მახარაძე და გ. კ. ორჯონიკიძე 1921 წლის 25 თებერვლის შესახებ

ად. ცეკას პოლიტბიუროო. ცეკა შენ გთხოვს ამ დაშიფრული დეპეშის შინაარსი გააცნო სმლგას და მერე მასთან ერთად გამოგზავნო მოსკოვში საერთო პასუხი. მიიღე თუ არა №1225 დაშიფრული დეპეშა და ყველაფერი გაიგე თუ არა. რატომ არ არის პასუხი მასზე. № 1226. სტალინი".

რატომღაც გ. კ. ორჯონიკიძემ ამ დეპეშის პასუხიც დაგვიგიანა. არადა, მოსკოვში ღელავდნენ. ამიტომაც იყო, რომ მან მეორე დღესვე ასეთი შეტყობინება მიიღო რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან: „ამხ. სტალინმა ეს-ეს არის ტელეფონით გვთხოვა გვეცნობებინა თქვენთვის შემდეგი:

„ბაუშინ როსტოფის მეშვეობით 1225 და 1226 ნომერი დაშიფრული დეპეშები გამოგიგზავნეთ. 1226 პოლიტბიუროს დავალებით იყო. შეშფოთებული ვარო თქვენი დუმილით. ველით სასწრაფო პასუხს. თუ შიფრი ვერ გაიგეთ, მოითხოვეთ გამეორება. ერთხელ კიდევ ველით პასუხს. 11/2-21 წ. სტალინი".

გ. კ. ორჯონიკიძის სახელზე 1921 წლის იანვარ-თებერვალში გამოგზავნილი ეს სამი დეპეშა უწინარეს ყოვლისა იმას გვითვალწინებენს, რომ მათი ავტორი, ი. ბ. სტალინი, იმ აქციას, რომელსაც წითელი არმია 1921 წლის თებერვალში განახორციელებს საქართველოში, „სამხედრო ჩარევასა და საქართველოს ოკუპაციას" უწოდებს. ი. ბ. სტალინმა შესანიშნავად იცის, რომ 1918-1920 წლების საქართველოში მშრომელთა არაერთი აჯანყება მოეწყო მენშევიკური მთავრობის დასამხობად, მაგრამ ამას მისთვის არ შეუშლია ხელი, რომ წითელი არმიის მიერ საქართველოს მომავალ ოკუპაციაზე ელაპარაკა. მართალია, ასეთ კვალიფიკაციას ი. ბ. სტალინი 28 იანვარს, ე. ი. 11-12 თებერვლის ამბებამდე რამდენიმე დღით ადრე იძლევა, მაგრამ ჩვენ ზომ კარგად ვიცით, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოში მშრომელთა არავითარი აჯანყება არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან საქართველოს კომუნისტებს თვით ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები უკრძალავდნენ აჯანყების მოწყობას, ხოლო სტიქიური აჯანყებანი თავისთავად გამორიცხული იყო.

რაც შეეხება ლორის ნეიტრალურ ზონაში მოწყობილ „აჯანყებას", ვფიქრობთ, სპეციალისტებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ იგი ინსცენირებული იყო და ამ პოლიტიკურ პრობლემაზე სიროიზული მსჯელობისას ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

როგორც ეს დეპეშები გვაცნობებენ, გ. კ. ორჯონიკიძემ ი. ბ. სტალინმა 1921 წლის 26 იანვრისათვის უკვე მოახერხეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დარწმუნება, რომ დადგა საქართველოს გასაბჭოებაზე ფიქრის დრო. ამიტომაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ზრუნავს XI წითელი არმიის შემადგენლობის რაოდენობრივი გაზრდისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ ამ საკითხით უკვე თვით ვ. ი. ლენინიც დაინტერესებულა და მასაც აღარ ეჩვენება უხერხულად საქართველოს გასაბჭოებისათვის წითელი არმიის გამოყენება. თუმცა, როგორც ვიცით, ვ. ი. ლენინს არასწორ ინფორმაციას აწვდიან საქართველოში იმ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ. აშკარად ირკვევა ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოების საკითხი უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას.

II.

მოვუსმინოთ ლ. დ. ტროცკის, რომელიც მაშინ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იყო. ერთობ საინტერესოა მისი აზრი ამ საკითხზე, რომელიც გამოთქმულია საზღვარგარეთ გამოცემულ მის წიგნში — „სტალინი". ლ. დ. ტროცკი წერს:

„მენშევიკური საქართველო ვერ გაძლებდა. ამას ყველა ხედავდა, მაგრამ გასაბჭოების მომენტისა დაამარცხა და რომელსაც ყოველი წინააღმდეგობა პირად შეურაცხყოფად მიიჩნდა".

როგორც ვხედავთ, ლ. დ. ტროცკიც აღიარებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მზად ნიადაგი ეთვის მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ეს ის, რომ ამ საკითხით უკვე თვით ვ. ი. ლენინიც დაინტერესებულა და მასაც აღარ ეჩვენება უხერხულად საქართველოს გასაბჭოებისათვის წითელი არმიის გამოყენება. თუმცა, როგორც ვიცით, ვ. ი. ლენინს არასწორ ინფორმაციას აწვდიან საქართველოში იმ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ. აშკარად ირკვევა ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოების საკითხი უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას.

II.

მოვუსმინოთ ლ. დ. ტროცკის, რომელიც მაშინ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იყო. ერთობ საინტერესოა მისი აზრი ამ საკითხზე, რომელიც გამოთქმულია საზღვარგარეთ გამოცემულ მის წიგნში — „სტალინი". ლ. დ. ტროცკი წერს:

„მენშევიკური საქართველო ვერ გაძლებდა. ამას ყველა ხედავდა, მაგრამ გასაბჭოების მომენტისა დაამარცხა და რომელსაც ყოველი წინააღმდეგობა პირად შეურაცხყოფად მიიჩნდა".

როგორც ვხედავთ, ლ. დ. ტროცკიც აღიარებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მზად ნიადაგი ეთვის მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ეს ის, რომ ამ საკითხით უკვე თვით ვ. ი. ლენინიც დაინტერესებულა და მასაც აღარ ეჩვენება უხერხულად საქართველოს გასაბჭოებისათვის წითელი არმიის გამოყენება. თუმცა, როგორც ვიცით, ვ. ი. ლენინს არასწორ ინფორმაციას აწვდიან საქართველოში იმ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ. აშკარად ირკვევა ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოების საკითხი უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას.

II.

მოვუსმინოთ ლ. დ. ტროცკის, რომელიც მაშინ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იყო. ერთობ საინტ

ქართული ცირკი: პროგრამები, ამოცანები

●ქართული საცირკო დასის შექმნის იდეა თავდაპირველად 30-იან წლებში ჩაისახა. მაგრამ იგი სხვადასხვა მიზეზის გამო განუხორციელებელი დარჩა.

ამ საქმეს ფრთები შეესხა 1957 წელს თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორის გრიგოლ ვენაძის, რეჟისორ ირაკლი ყანჩელის, ჩვენი სახელოვნო მხატვრის ლადო გუდიაშვილის, კინორეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის, ქორეოგრაფ ჯონ ბაგრატიონის, მოსკოველი რეჟისორის ვლადიმერ მირონოვისა და სხვათა მონაწილეობითა და ინიციატივით.

მაშინ ქართული ცირკის სარბიელზე წარმატებით გამოდიოდნენ ამ საქმის ნიჭიერი ოსტატები: რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ა. ცხომელიძე, აღდგომელაშვილისა და გოლიაძის ჯგუფები, მ. ლალაშვილი და ს. დადგმელიანი.

მართალია, კოლეგიამ მოიწონა მათი ნომრები, მაგრამ ეს ხუთეული ერთი მთლიანი პროგრამისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მაღე ცირკში მოვიდნენ სამუშაოდ კინოსა და თეატრის, ფილარმონიის მსახიობები, ახალგაზრდა სპორტსმენები, მათ შორის შეირჩნენ სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი აკრობატიკაში გ. გარსევანიშვილი, სპორტის ოსტატები ლ. მჭედლიშვილი, ნ. ბერიძე, ვ. ნატროშვილი, მსახიობი ს. თედიაშვილი და მოცეკვავეთა ჯგუფი.

ახალმა დასმა დიდი სიძნელეების მიუხედავად შექმნა ქართული ეროვნული მოტივებითა და კოლორიტით მდიდარი პროგრამა, რომელიც შესანიშნავად გაფორმეს მხატვრებმა ლ. გუდიაშვილმა და ვ. ზარიძემ, ხოლო წარმოდგენა მუსიკალურად გაფორმა კომპოზიტორმა ბ. კვერნაძემ.

თავდაპირველად წარმოდგენას ბევრი ჟანრი აკლდა, მაგრამ ხუთი თვის ხანგრძლივი წვრთნის, გარჯისა და რეპეტიციების შედეგად პროგრამა შეიგსო ახალი დახვეწილი ნომრებით და 1958 წლის 19 თებერვალს თბილისის სახელმწიფო ცირკის სარბიელზე გაიმართა პირველი ქართული საცირკო დასის საჩვენებელი წარმოდგენა.

ქართულ საცირკო კოლექტივს სხვადასხვა დროს შეემატნენ ცხენოსნები ნ. შელქაძე, ი. ჩომახიძე, ა. კუტალაძე, მ. გარსევანიშვილი, ბაგრატ მოვარჯიშე ლ. აღდგომელაშვილი, საჰაერო აკრობატი ა. ფერაძე, ნ. მაკაბერიძე, ბატუტზე მოხტუნავეები ჰ. ნატროშვილი, ნ. ბაგაური, თ. სამხარაძე, აკრობატები ა. ნიკაბაძე და მ. შონია, ჟონგლიორი მოტოციკლზე ვ. გარსევანიშვილი, შხატვრული აკრობატები დები გოლიაძეები, ექსცენტრიკოსი ა. კალამაშვილი.

კოლექტივი ყველგან დიდი წარმატებით გამოდიოდა. 1963 წელს იგი საცირკო ხელოვნების საკავშირო დათვალიერების ლაურეატი გახდა, 1968 წელს კი მას რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივის სამატიო წოდება მიენიჭა. არაერთი მსახიობის ღვაწლი აღინიშნა რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებით, ჯილდოებით.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ქართული საცირკო კოლექტივი თითქმის დაიშალა, ბევრი მსახიობი სამუშაოდ „კონცეიერში" გადავიდა, ნაწილმა პროფესია შეიცვალა, ხოლო ნაწილი კი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, კოლექტივში გაჩნდა „ბზარი", ამჟამად ქართული საცირკო კოლექტივის ნომრები ერთ განყოფილებასღა ავსებს, თუმცა ერთიანი სპექტაკლის შთაბეჭდილებას სტუდიის მხატველზე.

ქართულ ცირკს დღესდღეობით ძალიან უჭირს, მოსაგვარებელია მრავალი საკითხი. ხშირია კადრების დენადობა, ქართველი ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება ცირკს; სრულ წესრიგშია მოსაყვანი თბილისის საესტრადო და საცირკო სახელმწიფო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ქართულ საცირკო კოლექტივს ღირსეული ცვლა არა ჰყავს. სასწავლებელში საცირკო ხელოვნების სპეციალობაზე ქართველები სანთლით საძებარია, რაშია საქმე? რატომ განუდგა ახალგაზრდობა ცირკს, რატომ არ იზრდება ცვლა? — ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობენ ქართული საცირკო კოლექტივის, თბილისის სახელმწიფო ცირკისა და თბილისის საესტრადო- და საცირკო სახელმწიფო სასწავლებლის ხელმძღვანელები.

• • •

ოთარ ნინიძე — ქართული საცირკო კოლექტივის დირექტორი:

— ჩვენი უმთავრესი პრობლემაა კადრების დენადობა, მეტადრე ქალებისა. დღესდღეობით იმას მივაღწიეთ, რომ ქართული კოლექტივის ნახევარზე მეტი, ე. ი. 75 პროცენტი ქართველები ვართ, მაგრამ ამათგან მხოლოდ ორია ქალი, ეს კი ძალზე საკალოა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო სასწავლებელს ძალიან უჭირს ყოველმხრივ მომზადებული კადრების აღზრდა და ჩვენთან სამუშაოდ გამოგზავნა.

ავთანდილ ფერაძე — ქართული საცირკო კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელი:

— დიახ, ჩვენ ძალზე გვაფერხებს კადრების დენადობა. არადა, ქართული საცირკო პროგრამა გასამდიდრებელია ქართული ეროვნული კოლორიტითა და ფერთა ნაირსახეობით შეხამებული საცირკო ხომრებით.

ჩვენი კოლექტივის ერთ-ერთი უცვლელი წევრი ე. ფარსადანიშვილი ამბობს ნომერს „კინტო ცირკში", ძველი თბილისის კოლორიტის ფონზე. თუ ამ ნომრის ეამთავრებას დაადგა საშველი (ძველებურობაში მაქვს რომ ამ ნომრის მომზადება მრავალ სიძნელეებთან არის დაკავშირებული), დარწმუნებული ვარ, ამით ქართულ საცირკო კოლექტივს ფილარმონიის მსახიობები, ახალგაზრდა სპორტსმენები. მათ შორის ვიყავი პირადად მეც, მითუმეტეს „მაშინ, იმ დროისათვის სპორტში ცუდი მიღწევები არ მქონდა. რაღაც დაინტერესება იყო, მამულიშვილური, ჟინიანი ინტერესი. ამჟამად სპორტსმენები აქტიურ სპორტს რომ თავს დაანებებენ, ხშირად სამუშაოდ მიდიან ვაჭრობის სისტემაში, შინაგან საქმეთა ორგანოებში. მოგეხსენებათ, 25 წელს გადაცილებული სპორტსმენი სპორტისათვის კვე „ხანდაზმულია", ჩვენთვის ეს სრულიად ახალგაზრდაა და დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია ცირკისათვის. კარგი იქნება, თუ ასეთი „გადამდგარი" სპორტსმენები ჩვენთან მოვლენ სამუშაოდ.

გივი სერგია — თბილისის საესტრადო და საცირკო სახელმწიფო სასწავლებლის დირექტორი:

— ჩვენმა სასწავლებელმა დაარსების პირველ წელს (1969 წ.) 10 კაცი მიიღო საცირკო განყოფილებაზე. მას შემდეგ აგერ უკვე ოცი წელია სისტემატურად ვიღებთ მოსწავლეებს და ვამზადებთ კადრებს, თუმცა დიდ სირთულეებსაც ვაწყდებით: კერძოდ, სასწავლებელს არა აქვს საკუთარი სავარჯიშო მანეჟი, ყოველდღიურად „დინამოს" სტადიონზე ტანვარჯიშის დარბაზს ვქირაობთ, რაც ხშირად გვაფერხებს. სასწავლებელს არა აქვს საკუთარი სახელოსნო, სადაც უნდა დამზადდეს საჭირო რაოდენობის რეკვიზიტი, გვაკლია საცირკო ხელოვნების მაღალკვალიფიციური პედაგოგ-სპეციალისტები, ასე მაგალითად, წლის დასაწყისიდანვე არ გვყავს ჟონგლიორობის სპეციალობის პედაგოგი.

ქართველი ახალგაზრდობა გვერიდება, სხვა რესპუბლიკებიდან ლტოლვა კი დიდია... რაიონები უნდა დაინტერესდენ ადგილებზე ორგანიზებულ.

ძალზე ცუდად გვაქვს რეკლამის საქმე: ნაკლებ ყურადღებას გვთმობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც. აი, ჩემი აზრი.

ჩვენს შეკითხვაზე, გსურთ თუ არა, რომ თქვენი შვილები ცირკის მსახიობები გახდნენ, კომუნალური მეურნეობისა და მსახურეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რესპუბლიკური სამშენებლო-სარემონტო ტრესტის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ, ორი სასკოლო ასაკის შვილის დედამ ნელი ჯაფარიძემ მიპასუხა:

— ჩემი ორივე შვილი სპორტსმენია, საკმაოდ მოქნილები არიან, მაგრამ მე მაინც არ ვისურვებდი მათ საცირკო სასწავლებელში ესწავლათ, რადგან მეც და ალბათ ბევრი სხვა მშობელი, ნაკლებად არის ჩახედული ცირკის „სიიდუმლოებებში". ეს კი იმის ბრალია, რომ ქართულ ცირკს არა აქვს სათანადო რეკლამა, ცოტა რამ და ისიც ძალზე მშრალად და ფრაგმენტულად იწერება მის შესახებ პრესაში. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მას ავრეთვე რადიო და ტელევიზია. კარგი იქნება, თუ ისინი მეტ გადაცემებს მიუძღვნიან ქართულ ცირკს.

ქართული ცირკის ახლანდელ დირექტორს და მთავარ რეჟისორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს ბორის წიფურიას განზრახული აქვს გადაისნიჭოს ქართული საცირკო კოლექტივის ამჟამინდელი პროგრამა, მოიხსნას უფერული და მოძველებული ნომრები. მაგრამ ისმის კითხვა, ვინ შეავსოს კოლექტივი? რამდენიმე წელია, — ამბობს ბ. წიფურია,— ვეძებთ ქართულად მოლაპარაკე ჟანრის წამყვან ვაჟს ან ქალს, მაგრამ დღემდე არ გამოჩნდა შესაფერისი კანდიდატურა. დღეს საბჭოთა ცირკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნომერია საჰაერო პანტომიმა „ინტერკოსმოსი", რომელიც დადგა ა. ფერაძემ — სწორედ მის ფონზე გვინდა შევქმნათ მრავალფეროვანი, მრავალჟანროვანი საცირკო სანახაობა, საამისოდ გვჭირდება მსახიობები, ქორეოგრაფები, ბალეტის მსახიობები...

ქართული საცირკო კოლექტივის, თბილისის სახელმწიფო ცირკისა და თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებლის მესვეურები, ალბათ, მეტად უნდა დაინტერესდნენ, უფრო აქტიურად უნდა იმოქმედონ, ეძიონ რესპუბლიკის რაიონებში, ადგილებზე ნიჭიერი კადრები, იმედისმომცემი ახალგაზრდები. საამისოდ კარგი პირობების შექმნითა და შეღავათებითაც უნდა დაინტერესონ და მოიზიდონ კადრები. იქნებ მაშინ მაინც გადაიჭრას ნაწილობრივ მათ წინაშე არსებული მტკივნეული პრობლემები.

ბოჩა ხარატიშვილი.

ნეფვამდელები მოითხოვენ

ბათუმი. („კომუნისტის" საკ. კორ.). რამდენიმე დღეა ახალგაზრდების ჯგუფი აგრძელებს მჯდომარე გაფიცვას. მოითხოვენ საქხედრო სამსახურის საქართველოში გაგლას. 31 მაისიდან მათ შიმშილობა გამოაცხადეს.

შიმშილობის მეშვიდე დღეს, ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელთა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ამგვარ ფიზიკურ გამოცდას, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ისინი სხვებმა შეცვალეს.

ქუთაისი. („კომუნისტის" საკ. კორ.). მეთორმეტე დღეა მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა ახალგაზრდობის ჯგუფმა, რომლებიც წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდას მოითხოვენ.

7 ივნისს გაფიცულებს თანაგრძნობა გამოუცხადეს საავტომობილო, „ავანგარდისა" და „კრასნაია ზნამიას" ქარხნების, ავეჯისა და საკონდიტრო ფაბრიკის მშრომელებმა, მათ გაფიცულებთან თანვანთი დელეგაციები წარგზავნეს. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გაფიცა აგრეთვე ხონში, მათ თანაგრძნობა გამოუცხადა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკისა და პოლიმერკონტეინერის ქარხნის მშრომელთა ნაწილმა.

ახმეტა. („კომუნისტის" საკ. კორ.). კვირაზე მეტია ახმეტის რაიონულ კულტურის სახლთან წვევამდელების მჯდომარე გაფიცვა გრძელდება. ახალგაზრდებს ერთადერთი მოთხოვნა აქვთ: საქართველოს წვევამდელებმა საქართველოშივე იმსახურონ. გაფიცულთა ერთმა ჯგუფმა 3-დღიანი შიმშილობა გამოაცხადა.

იგივე მოთხოვნებს აყენებენ თიანეთის რაიონის წვევამდელებიც.

საბარეიჯო. 25 ახალგაზრდა სვანმა შიმშილობა გამოაცხადა სოფელ უდაბნოში.

ისევე, როგორც რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მოშიმშილენი, ისინი მოითხოვენ, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა საქართველოშივე გაიარონ სავალდებულო სამსახური.

გარდა ამისა, ისინი მხარს უჭერენ მშობლიური მესტიის რაიონის მშრომელების მოთხოვნას შეწყდეს ხუდონჰესის მშენებლობა. უდაბნოელი ახალგაზრდები მოითხოვენ აგრეთვე 9 აპრილის ტრაგედიაში დამნაშავეთა დასჯას.

სპორტის ამბები

სატელევიზიო ოლიმპიადა

ფეხბურთი

◎ ფეხბურთი. ბერლინში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: შვეიცარია-ჩეხოსლოვაკია. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა.

აქვე გაცნობებთ, რომ ბრაზილიელებმა რიო-დე-ჟანეიროში გამართული ამხანაგური მატჩი მოუგეს პორტუგალიელებს — 4:0. ბრაზილიელთა უფროსმა მწვრთნელმა ლაზარონიმ ეურნალისტებს აცნობა, რომ მალე გამოხცადებს შემადგენლობას, რომელიც ევროპაში გაემგზავრება. ევროპაში ბრაზილიელები სამ მატჩს გამართავენ: 16 ივლისს — შვედეთთან, 18 ივლისს — დანიელებთან და 21 ივლისს — შვეიცარიელებთან.

გუშინ თბილისის „დინამომ" საკავშირო ჩემპიონატის მატჩი გამართა დუშანბეში ადგილობრივ „პამირთან" და დამარცხდა — 0:1.

◎ ჭადრაკი. მსოფლიო თასის გათამაშების მეხუთე ტურში ანატოლი კარპოვი დაუზავდა ანდრია სოკოლოვს და 4 ქულით ინარჩუნებს ლიდერობას. ვალერი სალოვი ამ ტურში ისვენებდა, მაგრამ 3 ქულით მაინც მეორე ადგილზე დარჩა. მესამე ადგილზე გადაინაცვლა ჯონ ნანმა (დიდი ბრიტანეთი). რომელიც დაუზავდა დიეკა საქსს (უნგრეთი). ნანმა ასევე 3 ქულა მოაგროვა. ვაპანანმა დაამარცხა ვან დერ ვილი (ჰოლანდია), ტიმანმა (ჰოლანდია) — შორტი (დიდი ბრიტანეთი), ყაიმზე შეთანხმდნენ ლუბოვეჩი (იუგოსლავია) — ჰიერტარსონი (ისლანდია), სეირავანი (აშშ) — ელვესტი.

◎ სამბო. ალმა-ათაში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სამბოში. უკვე გამოვლინდა სამი გამარჯვებული. უმჩატეს წონაში ოქრის მედალი მოიპოვა ურალსკელმა ოსკარ შაიხიევმა, 82 კგ წონაში უძლიერესი იყო კიროვაკანელი გაგიკ კაზარიანი, 90 კგ კატეგორიაში — მოსკოველი იგორ სიდორკევიჩი. ამ წონაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა თბილისელი მამუკა წინამძღვრიშვილი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

სად არის ცვლა?





...და კიდევ ტიტები

თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა საქველმოქმედო კონცერტი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები", რომელშიც ქართული ესტრადის ყველა თაობის მომღერალი მონაწილეობდა.

პოეტ მორის ფოცხიშვილის ტექსტსა და კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ეს სიმღერა თითოეული ქართველის გულის მესაიდუმლე გახდა. ალბათ ამანაც განაპირობა საზოგადოების ის დიდი ინტერესი, რომელიც კონცერტებზე იგრძნობოდა. აქ სევდასთან ერთად ნუგეშიცა და მამულის იმედიც გამოსჭვიოდა, მომღერლებიც და მათი მსმენელნიც, ერთ მუშტად შეკრულნი, სამშობლოს უკეთეს მერმისს უმღეროდნენ, რადგან ქართველის ბუნება სწორედ ესაა: ჭირშიაც მომავალი განჭვრიტოს.

საქველმოქმედო კონცერტების მთელი შემოსავალი, მომღერალთა გადწყვეტილებით, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალისა და აჭარის მთიანეთში დაზარალებულთა დახმარების ფონდებში გადაირიცხება.

სურათებზე: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები", მღერიან ქართული ესტრადის ყველა თაობის ვარსკვლავები; რობერტ ბარძიმაშვილი.

ბადრი ვადაპკორიას ფოტო.

ორშაბათი

12 ივნისი

პირველი პროგრამა. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება. 16.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „როცა იფურჩქნება ღამის დედოფალი". 17.20 — საქართველოს ისტორია. 17.50 — მოსწავლეთათვის. „ქვეყნად მოარული კაცი". 19.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „პროფესიაში საუკეთესო". 19.30 — ქართველი ბეისბოლისტები კუბაში. 20.00 — მოამბე. 20.35 — საერთაშორისო დღიური. 21.10 — „დაბრუნებული სახელები" — დავით კანდელაკი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „გაზაფხული გადის".

მეორე პროგრამა. 16.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ქვეშნი დარჩებიან". 17.50 — სატელევიზიო დადგმა „ბაგანინის გამართლება". 20.00 — მოამბე. 20.35 — საერთაშორისო დღიური. 21.10 — „დაბრუნებული სახელები" — დავით კანდელაკი.

სამშაბათი

13 ივნისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". მულტიპლიკაციური ფილმი „ციყვ მიკის თავგადასავალი". 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.10 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 16.45 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქვა, ხე, ლითონი". 17.30 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი" (განმეორებით). 19.00 — განცხადებები. 19.05 — რედაქციაში წერილი მოვიდა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მაისის თოვლი" (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.50 — „ბედი კაცისა" — დავით კლდიაშვილი (კითხულობს გ. ხარაბაძე).

მეორე პროგრამა. 9.35 — ქართული სატელევიზიო დოკუ[illegible]ტური ფილმი „მთვარის გლობუსი". 10.30 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანი და ბუნება". 11.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 12.00 — კინოჟურნალი. „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 12.10 — ფიზიკის ტელეკურსი. 12.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". მულტიპლიკაციური ფილმი „ციყვ მიკის თავგადასავალი". 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.10 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 16.45 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „ქვა, ხე, ლითონი". 17.30 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი" (განმეორებით). 19.00 — განცხადებები. 19.05 — რედაქციაში წერილი მოვიდა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მაისის თოვლი".

ოთხშაბათი

14 ივნისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ცეროდენა". 15.35

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

— საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საწნახელი". 16.35 — მუსიკის საგანძური. ე. გრიგისა და ი. სიბელიუსის ნაწარმოებებს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელისო ვირსალაძე (მ.). 17.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 18.00 — დოკუმენტური ფილმი „ხის სიმღერა". 18.10 — ჩვენი სტუმრები. 18.45 — განცხადებები. 18.50 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 19.45 — ჯადოსნური ეკრანი. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. სოცშეჯიბრება ახალ საფეხურზე. 21.25 — „ისრაელში მღერიან ქართულ სიმღერებს". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. რეკვიემი „დედაო ღვთისავ".

მეორე პროგრამა. 9.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაისას რჩეულნი". 10.25 — სსრ კავშირის ისტორია. 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი სიყვარულის ისტორია". 11.25 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 12.10 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 12.20 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 12.50 — კინონარკვევი. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ცეროდენა". 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საწნახელი". 16.35 — მუსიკის საგანძური. ე. გრიგისა და ი. სიბელიუსის ნაწარმოებებს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელისო ვირსალაძე (მ.). 17.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 18.00 — დოკუმენტური ფილმი „ხის სიმღერა". 18.10 — ჩვენი სტუმრები. 18.45 — განცხადებები. 18.50 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 19.45 — ჯადოსნური ეკრანი. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. სოცშეჯიბრება ახალ საფეხურზე.

ხუთშაბათი

15 ივნისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ეკონომიკის კურსი. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ზღაპარი მამაც მჭედელზე". 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწის სითბო". 16.35 — აბიტურიენტთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.05 — მოსწავლეთათვის. სტუმრად მუზეუმში. 17.30 — ჯადოსნური ეკრანი. 17.45 — ტელემაყურებელი და საერთაშორისო ცხოვრება. 18.30 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ცოდნა". 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. „დინამო" თბილისი — „დინამო" მოსკოვი. რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონიდან.

პარასკევი

16 ივნისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „შაშვინვერა ხელმწიფე". 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემპიონის დაბრუნება". 16.35 — სსრ კავშირის ისტორია. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.15 — მოსწავლეთათვის. გზა მშვენიერებისაკენ. 18.15 — გარდაქმნის წახნაგები. „მეგობრების გამოცდილება". 19.00 — შუქნიშანი. 19.20 — „გახსენება". გურამ ნიჟარაძე. 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — აქტუალური ეკრანი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.45 — „ილუზიონი".

მეორე პროგრამა. 9.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 10.15 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 11.00 — კინოჟურნალი „ერა-ჩვენი სტუმრები. 18.45 — განცხადებები. 18.50 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 19.45 — ჯადოსნური ეკრანი. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. სოცშეჯიბრება ახალ საფეხურზე.

შაბათი

17 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.40 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — კამერული მუსიკის კონცერტი. 10.55 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.25 — „ჯანმრთელობა". სატელევიზიო პროგრამა (განმეორებით). 12.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 12.40 — „კინომოზაიკა". 13.15 — მოსწავლეთათვის. მღერის ანსამბლი „აი იპ". 14.05 — „გლობუსი". 15.10 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ხალხური შემოქმედება. „ერთი სიმღერის ფესტივალი". 15.25 — ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი პროფესიონალ კალათბურთელთა შორის (მ.). 16.25 — ხალხური შემოქმედება. „ერთი სიმღერის ფესტივალი". 16.30 — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.15 — „ხალხური სიმღერის ოსტატები". ფ. მახათელაშვილი. 18.00 — „პოეზიის ხუთი წუთი. 18.05 — „ათი წელი საოპერო თეატრის სცენაზე". მღერის მზია დავითაშვილი. 19.05 — „ალტერნატიული ენერგეტიკა — უკაშხალო ელექტროსადგურები". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ხსოვნა". I სერია. (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ხსოვნა". II სერია.

კვირა

18 ივნისი

პირველი პროგრამა. 10.10 — გასართობი პროგრამა. 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოფიშა. 12.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა". ქართული მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა". 13.10 — საკვირაო გამოფენა. 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.45 — საკვირაო გამოფენა. 13.50 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 14.15 — საკვირაო გამოფენა. 14.20 — ვესტნიკი. 15.15 — „შეხვედრა დედფთან" (განმეორებით). 16.00 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.10 — გარდაქმნის წახნაგები. „თქმა მართლისა". 18.10 — „მომღერლის გახსენება". მერი ნაკაშიძე. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.30 — ხალხური შემოქმედება. „304"-ე ოთახი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობა, ექიმო!". (მ.). 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 23.25 — ახალგაზრდების ხელოვნება. მღერის ლია ჩივაძე.

შაბათი, 10 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.10 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — გარდაქმნის ნახნაგები — მეგობრების ეკრანი (აზერბაიჯანის ტელევიზიის პროგრამა). 12.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 12.50 — ხალხური შემოქმედება — ერთი სიმღერის ფესტივალი. 12.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აბა ო და აბა პეი". 13.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.40 — გახსენება. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება. 15.10 — ხალხური შემოქმედება — ერთი სიმღერის ფესტივალი. 15.15 — სატელევიზიო ჟურნალი „თბილისი და თბილისელები". 15.55 — ბუნების კარი. 16.45 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე" — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.35 — ხუთი ინტერვიუ — მ. სტურუა (IV გადაცემა). 18.40 — „თვალსანიერი" — სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 19.35 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — მოუსმინეთ რეჟისორს! (სტუდიაშია სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რეჟისორი თ. ფერაძე). 21.00 — აქტუალური ეკრანი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საესტრადო კონცერტი. 23.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „პამირი" (დუშანბე) — „დინამო" (თბილისი).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.30 — საოჯახო აკადემია. 10.00 — „ოქტომბრის" კულტურის სასახლის თვითმოქმედი კამერული ორკესტრის კონცერტი. 10.30 — წელიწადის დრონი. ივნისი. 11.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 12.00 — მშობელთა დღე შაბათია. 13.30 — ბუდაპეშტის საგაზაფხულო ფესტივალის კონცერტები. ვ. ა. მოცარტი — № 54 სიმფონია სი ბემოლ მაჟორი. 13.55 — სოციალიზმის ქვ